# საქართველო - ქვეყნის სტრატეგია (დოკუმენტის პროექტი)

2021-2026

European Bank
for Reconstruction and Development

PUBLIC

# სარჩევი და გლოსარიუმი

## სარჩევი


| | | |
|---|---|---|
| | შინაარსის მოკლე მიმოხილვა | 3 |
| | საქართველო – EBRD-ის მოკლე მიმოხილვა | 4 |
| I. | წინა სტრატეგიის განხორციელება (2016-2021 წ.წ.) | 5 |
| | *გარდაქმნის ძირითადი შედეგები* | 5 |
| | *გამოწვევები განხორციელების გზაზე და მიღებულიგამოცდილება* | 8 |
| II. | ეკონომიკური კონტექსტი | 9 |
| | *მაკროეკონომიკური კონტექსტი და პერსპექტივა* | 9 |
| | *ძირითადი გამოწვევები გარდაქმნების გზაზე* | 10 |
| III. | მთავრობის პრიორიტეტები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა | 12 |
| IV. | EBRD-ის ქვეყნის სტრატეგიის პრიორიტეტების განსაზღვრა | 13 |
| V. | აქტივობებისა და შედეგების ჩარჩოები | 14 |
| VI. | EBRD-ის ბიზნესის სფეროებში საერთაშორისო პარტნიორების ურთიერთშევსების მონაცემები | 17 |
| VII. | რისკები განხორციელების გზაზე და გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგები | 18 |
| VIII. | დონორების მხრიდან თანადაფინანსების შეფასება | 19 |
| | დანართი 1 – პოლიტიკური შეფასება | 20 |


## ტერმინების გლოსარიუმი

| | |
|---|---|
| ABI | ბანკის წლიური ინვესტიცია |
| ADB | აზიის განვითარების ბანკი |
| ASB | კონსულტაციები მცირე ბიზნესისთვის |
| CNG | შეკუმშული ბუნებრივი გაზი |
| CPI | სამომხმარებლო ფასების ინდექსი |
| DCFTA | ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონები |
| E&S | გარემოსდაცვითი და სოციალური |
| EBRD | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი |
| EEC | აღმოსავლეთი ევროპა და ამიერკავკასია |
| ESG | მმართველობა |
| ESP | გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა |
| ETI | გარდაქმნის მოსალოდნელი ზემოქმედება |
| EU | ევროკავშირი |
| FDI | პირდაპირი უცხოური ინვესტიცია |
| FI | ფინანსური ორგანიზაცია |
| GDP | მთლიანი შიდა პროდუქტი |
| GEFF | მწვანე ეკონომიკის დაფინანსების მექანიზმი |
| GEL | ქართული ლარი |
| GET | გადასვლა მწვანე ეკონომიკაზე |
| GHG | სათბურის გაზი |
| GMTN | გლობალური საშუალო-ვადიანი საშუალოვადიანი ობლიგაციების გლობალური პროგრამა |
| H&S | ჯანმრთელობა და უსაფრთხოება |
| HPP | ჰიდროელექტროსადგური |
| ICA | მრეწველობა, კომერცია და აგრობიზნესი |
| ICT | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგია |
| IEA | ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო |
| IFI | საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები |
| IFRS | ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები |
| ILO | შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია |
| IMF | საერთაშორისო სავალუტო ფონდი |
| LCY | ადგილობრივი ვალუტა |
| LSE | ლონდონის საფონდო ბირჟა |
| M&S | წარმოება და სერვისები |
| NBG | საქართველოს ეროვნული ბანკი |
| NDC | ქვეყნის მიერ განსაზღვრული ეროვნული წვლილი |
| ODA | ოფიციალური განვითარების დახმარება |
| PFI | პარტნიორი ფინანსური ორგანიზაცია |
| PPP | სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა |
| PTI | პორტფელის გარდაქმნის ზემოქმედება |
| SME | მცირე და საშუალო საწარმოები |
| SOE | სახელმწიფო საწარმო |
| TC | ტექნიკური თანამშრომლობა |
| TCFD | კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სპეციალური ჯგუფი |
| TFP | ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამა |
| TIBR | თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი |
| TPES | სრული პირველადი ენერგომომარაგება |
| WDI | მსოფლიო განვითარების ინდიკატორები |
| WEF | მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი |
| WEO | მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები |
| WiB | პროგრამა „ქალები ბიზნესში“ |

დოკუმენტის ორიგინალური ტექსტის თარგმანები უზრუნველყოფილია EBRD-ს მიერ მხოლოდ მკითხველის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად იმისა, რომ EBRD-ი ზრუნავს თარგმანის შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, იგი არ იძლევა თარგმანის სიზუსტეს გარანტიას, და არ ამტკიცებს მას. ნებისმიერ ასეთ თარგმანზე დაყრდნობა მკითხველის პასუხისმგებლობაშია. EBRD-ს, მის თანამშრომლებს ან წარმომადგენლებს არავითარ შემთხვევაში არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა მკითხველის ან სხვა პირის წინაშე თარგმანის ნებისმიერი უზუსტობის, შეცდომის, გამოტოვების, წაშლის, ხარვეზის და/ან თარგმანის შინაარსის შეცვლისთვის, განურჩევლად მიზეზისა, ან ამით მიყენებული რაიმე ზიანისთვის. შედეგად იქიდან. ინგლისურ და თარგმნილ ვერსიებს შორის რაიმე შეუსაბამობის ან წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ინგლისურ ვერსიას ენიჭება.

# შინაარსის მოკლე მიმოხილვა



საქართველომ, ქვეყნის წინა სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, შეინარჩუნა მისწრაფება ბანკის სადამფუძნებლო ხელშეკრულების 1-მ მუხლში მითითებული პოლიტიკური პრინციპების გამოყენებისადმი. თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციით, მნიშვნელოვან გამოწვევებად დარჩა პოლიტიკური პოლარიზაციის მოგვარება, საარჩევნო რეფორმის გატარება, კანონის უზენაესობის განმტკიცება და მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობა და ანგარიშგების უზრუნველყოფა.

საქართველო განუხრელად უსვამს ხაზს თავის ევროპასთან დაახლოების სურვილს. მის განვითარებაზე გავლენას ახდენს გამოწვევებით აღსავსე გეოპოლიტიკური გარემო, ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური პოლარიზაცია, და კანონის უზენაესობის სფეროში კვლავ არსებული გამოწვევები. ბოლო ორ ათწლეულში გატარებულმა ფართომასშტაბიანმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა რეფორმებმა გარდაქმნა ეკონომიკა; ხელშესახები შედეგების მისაღებად საჭიროა რეფორმების განხორციელების დაჩქარება. კოვიდ-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ეკონომიკას, რადგან სასტუმრო სექტორი, რომელიც ბოლო წლებში ეკონომიკის სწრაფ ზრდას განაპირობებდა, მოწყვლადობის ძირითად წყაროდ იქცა. პანდემიამ ასევე წარმოაჩინა სტრუქტურული რეფორმის დღის წესრიგის გაძლიერების საჭიროება, რათა მოგვარდეს კერძო სექტორში არსებული შეზღუდვები და მოხდეს წინსვლა მოწინავე ეკონომიკებთან ეკონომიკური შერწყმის გზაზე. ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება, მათ შორის მმართველობაში არსებული ისეთი გამოწვევების მოგვარების გზით, როგორიცაა მართლმსაჯულების სფეროშია არსებული სისუსტეები და სამუშაო ძალია უნარ-ჩვევების განვითარება, რათა დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნები ბიზნეს-კომპანიებში, გაამლიერებდა ქვეყნის მწარმოებლობის დონეებს და კონკურენტუნარიანობას. ინკლუზიურობის დღის წესრიგის წინა პლანზე წამოწევა და რეგიონალური კავშირების გაუმჯობესება ხელს შეუწყობდა თანასწორი შესაძლებლობების შექმნას და ეკონომიკის მდგრად აღდგენას. მწვანე გარდაქმნის დაჩქარება მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოიტანდა და ხელს შეუწყობდა ქვეყნის ვალდებულებების შესრულებას კლიმატის ცვლილებების სფეროში.

საქართველოში EBRD-ის საქმიანობა მოიცავს ყველა სექტორს, მათ შორის ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის, ფინანსურ სექტორს, კორპორატიულ სეგმენტს და მცირე და საშუალო საწარმოებს, და საერთო დაფინანსებ ოპერაციების დაწყებიდან, 4.2 მლრდ ევრო მიაღწია, რაც 262 პროექტზე იქნა მიმართული. ბანკმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ენერგეტიკის სექტორის მხარდაჭერაზე, მწვანე ქალაქის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე თბილისსა და ბათუმში, DCFTA-ს ფარგლებში ევროკავშირთან დაახლოების მხარდაჭერაზე, ენერგოეფექტიანობის საკრედიტო ხაზებზე საფინანსო ორგანიზაციებისთვის, უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და სტანდარტიზაციაზე, სამთო-მომპოვებელი სექტორის რეფორმის ხელშეწყობაზე და კერძო საწარმოების და აგრობიზნესის განვითარებაზე. ASB პოპულარულია საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებს შორის, უწყობს რა ხელს გაძლიერებულ სტანდარტებს, გაუმჯობესებულ მარკეტინგს, და ბოლო დროს, ასევე, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას. თანადაფინანსება დონორთა მხრიდან და ძლიერი თანამშრომლობა სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში წარმატებული ჩართულობისთვის. ბანკის პოლიტიკური დიალოგი მოიცავს წამყვანი ინვესტორების საბჭოს, პლატფორმას კერძო-სახელმწიფო დიალოგისთვის საინვესტიციო კლიმატის საკითხებზე, რასაც თან ერთვის ადგილობრივი ვალუტის, მეორადი ინსტრუმენტების და კაპიტალის ბაზრების განვითარება, ევროკავშირთან დაახლოების ხელშეწყობა, ენერგოუსაფრთხოება, და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სახელმწიფო საწარმოების კომერციალიზაციის ჩათვლით.
საქართველომ სარგებელი მიიღო ბანკის სოლიდარობისა და VISP პროგრამებისგან - მდგრადი ინფრასტრუქტურის, FI, SME და ICA სექტორებში, რომლებიც მიზნად ისახავდა ქვეყნისთვის დახმარების გაწევას კოვიდ-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში. კრიზისზე რეაგირება აღდგენის ხელშესაწყობად კვლავაც დარჩება ბანკის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილად ქვეყნის სტრატეგიის შემდეგ პერიოდში.
ბანკი კარგადაა მომზადებული, რომ მხარდაჭერა აღმოუჩინოს საქართველოს ევროპულ ამბიციებში, პარიზის ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში მოსვლის განხორციელებაში, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოზიდვაში, რისთვისაც საჭიროა უწყვეტი და გაძლიერებული სტრუქტურული რეფორმები. დაბალანსებული ტერიტორიული ეკონომიკური ზრდა და ურთიერთკავშირი მნიშვნელოვანია, და მოითხოვს ყურადღების გამახვილებას ინფრასტრუქტურასა და ენერგოუსაფრთხოებაზე, ასევე წვდომას დაფინანსებაზე და მცირე და საშუალო საწარმოების საკონსულტაციო მხარდაჭერაზე სხვადასხვა სექტორში, ღირებულების დარიცხვის სისტემის ინტეგრაციის ჩათვლით. მწვანე, ინკლუზიური და ციფრული ასპექტები საქმიანობის უმთავრეს ასპექტებს წარმოადგენს ბანკის ოპერაციების ყველა სექტორში კოვიდ-19-ის ეპოქაში, რაც ქმნის ქვეყნის ეკონომიკური რეფორმის პროგრამის განხორციელების გაძლიერების შესაძლებლობას.
ბანკი შემდეგ სტრატეგიულ პრიორიტეტებს სახავს საქართველოში 2021-2026 წ.წ.:
*i. პროდუქტიულობის და ეკონომიკის მედეგობის გაუმჯობესება გაძლიერებული კონკურენტუნარიანობის და დაფინანსებაზე წვდომის გზით*
*ii. თანასწორი შესაძლებლობების ხელშეწყობა უკეთესი ინკლუზიისა და დაბალანსებული ტერიტორიული განვითარების გზით*
*iii. მწვანე გარდაქმნის დაჩქარება ინვესტიციების გაზრდის და უკეთესი მმართველობის გზით*

# საქართველო - EBRD-ის კადრში



## EBRD-ის საინვესტიციო საქმიანობა საქართველოში *(2021 ივნისის)*

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტფელი | €1,373m | მიმდინარე პროექტები | 91 |
| კაპიტალის წილი | 2% | საოპერაციო აქტივები | €998m |
| კერძო სექტორის წილი[1] | 49% | მთლიანი ინვესტიცია | €4,221m |

## ABI და ოპერაციები




## პორტფელის შემადგენლობა




## პორტფელის დინამიკა




## ხარვეზები გარდაქმნის გზაზე[2]




## საქართველოს კონტექსტი ციფრებში

| | საქართ-ველო | შესადარებელი ქვეყნები |
|---|---|---|
| მოსახლეობა (მლნ), 2020[3] | 3.7 | 3.0 (სომხეთი)<br>2.6 (მოლდოვა) |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP, US$), 2020[3] | 14,917 | 13,261 (სომხეთი)<br>12,811 (მოლდოვა) |
| კონკურენტუნარიანობის მსოფლიო ინდექსი (WEF), 2019 | 74th<br>141-დან | 69th (სომხეთი)<br>86th (მოლდოვა) |
| უმუშევრობა (%), 2020[4] | 18.5 | 18.3 (სომხეთი)<br>3.9 (მოლდოვა) |
| უმუშევრობა ახალგაზრდებში (%, ILO შეფასება), 2019[5] | 29.93 | 33.51 (სომხეთი)<br>10.51 (მოლდოვა) |
| ქალების მონაწილეობა სამუშაო ძალაში (%, ILO შეფასება), 2019[5] | 55.24 | 42.91 (სომხეთი)<br>38.22 (მოლდოვა) |
| ენერგიის მოხმარება (TPES/GDP, toe/ათასი 2015 US$), 2018[6] | 0.29 | 0.26 (სომხეთი)<br>0.46 (მოლდოვა) |
| ემისიის ინტენსიურობა/მშპ (კგ CO2/2015 US$, PPP), 2018[6] | 0.21 | 0.19 (სომხეთი)<br>0.33 (მოლდოვა) |

*[1] ბანკის მთლიანი ინვესტიცია: 5-წლიანი რეგულარული პორტფელი. [2] Cf. EBRD გარდამავალი პერიოდისანგარიში 2018-2019. [3] IMF WEO. [4] ეროვნული სტატისტიკური ორგანოები. [5] მსოფლიო ბანკი WDI. [6] IEA.*

# 1. წინა სტრატეგიის განხორციელება (2016-2021)

## *1.1. გარდაქმნის ძირითადი შედეგები*



### სტრატეგიის შესაბამისობაში მოყვანა

**წლიური ბიზნეს-ინვესტიცია (ABI)**




**GET share**: 32%

### ტექნიკური დახმარების გრანტები




### გარდაქმნის განხორციელების ინდიკატორები *




**ETI**: 67
**PTI**: 70

### პრიორიტეტი 1: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა ინოვაციების, დამატებითი ღირებულების ამაღლების და DCFTA სტანდარტებთან და ვალდებულებებთან დაახლოების გზით

### კონსულტაციები მცირე ბიზნესისთვის

### გარდაქმნის ძირითადი შედეგები

- დახმარება გაეწია MSME სექტორს ცნობადობის ამაღლების და ტრენინგის 51 სესიის ჩატარების და 325 საკონსულტაციო პროექტის დასრულების საშუალებით - 294 ადგილობრივ საკონსულტაციო კომპანიებთან და 31 - საერთაშორისო კონსულტანტების მონაწილეობით ტრენინგი, მათ შორის IFRS ტრენინგები, შესაძლებლობების განვითარება პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისთვის, რათა დააკმაყოფილონ DCFTA სტანდარტები; მოიცავდა როგორც თბილისს, ასევე 7 რეგიონს.
- 3 პროექტს მოეწერა ხელი როგორც აგრობიზნესის, ასევე M&S სექტორში.
- განხორციელდა 68 ASB პროექტი „ქალები ბიზნესში“, რომლებიც მოიცავდა სტრატეგიის შემუშავებას,მარკეტინგს, ოპერაციებს და ICT/გაციფრულებას.
- დახმარება გაეწია 4 პარტნიორ ბანკს (საქართველოს ბანკი, თიბისიბანკი, პროკრედიტ ბანკი და ბაზის ბანკი) ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად DCFTA საკრედიტო ხაზების საშუალებით. შედეგად 200 SME-ს დაფინანსება მოხდა და ეს ინვესტიციები წარმართული იყო ევროკავშირის ბაზრის წვდომის ღონისძიებებში.
- მხარდაჭერა გაეწია, ინვესტორების საბჭოს მეშვეობით, საკანონმდებლო რეფორმას ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, მეწარმეთა შესახებ კანონის, ინვესტიციების შესახებ კანონის და გადახდისუუნარობის კანონმდებლობის, ასევე ახალი ფინანსური ინსტრუმენტების (ფაქტორინგი და ლიზინგი) შემუშავების ჩათვლით.
- დაიწყო მწვანე ენერგიის დაფინანსების ინსტრუმენტის სამი პროექტი, პროკრედიტ ბანკთან, ბაზის ბანკთან და თიბისი ბანკთან, რათა ხელი შეეწყოს სამრეწველო ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესებას.
- დაფინანსდა ადგილობრივი სატელეკომუნიკაციო კომპანია, ფართოზოლიანი ქსელის გაუმჯობესების და გაფართოების მიზნით სასოფლო რეგიონებში, და ეკონომიკური ინცლუზიურობის და ინოვაციების გაძლიერების მიზნით.
- დაინერგა ტექნიკური ინოვაცია ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის (ქვეშეთი-კობი) პროექტის ინსპექტირებისა და მშენებლობის ზედამხედველობისთვის დრონების გამოყენების გზით.
- დიდი წარმატებით მოხდა ინკლუზიურობის კომპონენტების ხელშეწყობა ინვესტიციებში, მათ შორის, თბილისში სასტუმროების განვითარების; ჯანდაცვის სექტორში TC მხარდაჭერისგზით, რათა გაუმჯობესდეს ინკლუზიური საექთნო კურიკულუმი.
- დახმარება ეწევა კერძო სექტორს უშუალოდ კოვიდ-19-ით გამოწვეული ცვლილებებში, ასევე გრძელვადიანი მედეგობის გაძლიერებაში.

** გარდაქმნის ზემოქმედების მიმდინარეობა გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ პროექტებმა მიაღწიონ ხელმოწერისას მათგან მოსალოდნელ ზემოქმედებას. გამოთვლები ეფუძნებოდა მიმდინარე პროექტების (>2 წ.) პორტფელს.*

# 1. წინა სტრატეგიის განხორციელება (2016-2021)

## 1.1. გარდაქმნის ძირითადი შედეგები



### პრიორიტეტი 2: ფინანსური შუამავლობის გაღრმავება და ადგილობრივი ვალუტისა და კაპიტალის ბაზრების განვითარება ფინანსებზე წვდომის ხელშესაწყობად

#### ფინანსები ადგილობრივ ვალუტაში




#### გარდაქმნის ძირითადი შედეგები

- გაფართოვდა DCFTA, SME და WiB საკრედიტო ხაზები ოთხი ადგილობრივი პარტნიორი ბანკისთვის (თიბისი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ბაზის ბანკი დაკრედო), მთლიანი თანხით 220.5 მლნ ევრო, რაც ზრდის წვდომას დაფინანსებაზე. 220.5 მლნ ევროდან, 187.9 მლნ ევრო გადაირიცხა ადგილობრივ ვალუტაში.
- პარტნიორი ბანკებისთვის (თიბისი, საქართველოს ბანკი) მოწოდებულ იქნა რისკების განაწილების ინსტრუმენტები მთლიანი თანხით 60 მლნ ევრო, რათა გაძლიერებულიყო SME დაფინანსება(19 ტრანზაქცია).
- წინსვლა იქნა მიღწეული კაპიტალის ბაზრის განვითარებაში, EBRD-ის GMTN ინიციატივის ფარგლებში ადგილობრივი ბონდების ემისიის გზით, რომელთა მოცულობამ 120 მლნ ლარი (დაახლოებით 40 მლნ ევროს) შეადგინა. ბონდების ლისტინგი განხორციელდა LSE-ში, რამაც ხელი შეუწყო ქართული ლარის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო ბაზრებზე. პირველი ევრობონდი ამ რეგიონში დენომინირებული და გადახდილი იყო ქართულ ლარში, რამაც შესაძლებლობა მისცა მას, რომ გამხდარიყო ანგარიშსწორების ვალუტა ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ცენტრალურ დეპოზიტარში და ხელი შეეწყო საერთაშორისო ინვესტიციებისთვის.
- მონაწილეობა ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებულ პირველ უზრუნველყოფილ კორპორატიულ ბონდებში, რაც ეპოქალურ ტრანზაქციას წარმოადგენდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, განხორციელდა რა 20 მლნ ლარის (დაახლოებით 7 მლნ ევრო) ინვესტირება ს/ს ევექსის სამედიცინო კორპორაციის - საქართველოში ჯანდაცვის სერვისების უმსხვილესი პროვაიდერის მიერ ბონდებზე შეთანხმების ხელმოწერაში.
- მონაწილეობა პირველ არა-სუვერენულ და არა-საბანკო ევრობონდში, რომელიც გამოუშვა საქართველოს იურიდიულმა პირმა - ჯორჯია კაპიტალმა.
- ხელი მოეწერა კერძო კომპანიების მიერ გამოშვებულ, ადგილობრივად განთავსებულ ობლიგაციებზე, რათა დაფინანსებულიყო მათი გაფართოებისა და განვითარების ღონისძიებები (ხუთი პროექტი), მათ შორის, პირველ უზრუნველყოფილ კორპორატიულ ობლიგაციაზე LCY -ში ჯანდაცვის სექტორში, პირველ სახელმწიფო კორპორატიულ LCY ობლიგაციაზე აგრობიზნესის სფეროში, და პირველ არა-სუვერენულ და არასაბანკო ევრობონდზე, რომელიც გამოუშვა საქართველოს იურიდიულმა პირმა, ჯორჯია კაპიტალმა.
- ხელი მოაწერა 200 მლნ აშშ დოლარიან სავალუტო სვოპის მექანიზმს საქართველოს ეროვნულ ბანკთან.
- მხარი დაუჭირა ეროვნული ბანკის ძალისხმევას აუცილებელი საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნის მიართულებით, ჰეჯირების კანონმდებლობის ჩამოყალიბების და მეორადი ფასიანი ქაღალდების ბაზრის გზამკვლევის ფორმირების გზით. წამოიწყო TC პროექტები ადგილობრივი კორპორატიული გამოშვების გასაძლიერებლად (გამოშვების მოსაკრებლებს ფარავდა გრანტის კომპონენტი) და საქართველოს ეროვნულ ბანკთან დაფარული ობლიგაციების ჩარჩოების შესამუშავებლად.
- თანამშრომლობდა ეროვნულ ბანკთან TIBR-ის რეფორმირებისთვის და შეიმუშავა ვადიანი ორიენტირი განაკვეთები. 2019 წ. გამოუშვა TIBR -თან დაკავშირებული პირველი ობლიგაციები ლარში, და გააფართოვა TIBR-თან დაკავშირებული პირველი სესხები.

### პრიორიტეტი 3: ბაზრების გაფართოება რეგიონთაშორისი კავშირების საშუალებით

#### ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამა




#### გარდაქმნის ძირითადი შედეგები

- ხელი მოეწერა ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტს, ADB-სთან ერთად. ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანი რეგიონის უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო რგოლია, წარმოადგენს რა ერთადერთ გზას საქართველოსა და რუსეთს შორის, და, აქედან გამომდინარე, სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია საერთაშორისო ვაჭრობისთვის.
- დახმარება გაუწია ახალი PPP კანონის შემუშავებაში, რომელიც მიესადაგება კერძო სექტორის ჩართულობას ინფრასტრუქტურის განვითარებაში.
- განაგრძო თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მხარდაჭერა, დააფინანსა რა 370 CNG ავტობუსი, ქსელის რესტრუქტურიზაციის მხარდაჭერის ჩათვლით. დაფინანსა ავტობუსები საზოგადოებრივი ტრანსპორტირებისთვის 8 რეგიონულ ქალაქში - გორში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, თელავში და ზუგდიდში, ასევე ბათუმის ავტობუსების პროექტი და ბაკურიანის მუნიციპალური სერვისების პროექტი, რაც ხელს უწყობს რეგიონების შეკავშირებას; და ავტობუსის მძღოლის ქალების ტრენინგი თბილისში.
- დააფინანსა საქართველოს აერონავიგაცია, საჰაერო მიმოსვლის სანავიგაციო სერვისების ეროვნული პროვაიდერი, კოვიდ-19-ის კრიზისის პერიოდში.
- დახმარება გაუწია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს პორტის საინფორმაციოოსახურების სისტემის შემუშავებაში, რომელიც დაკავშირებულია ერთი ფანჯრის პრინციპთან ნაოსნობაში (Maritime Single Window), მხარს უჭერს მთავრობის სტრატეგიას საზღვაო ტრანსპორტის სისტემების დიგიტალიზაციის მიმართულებით.
- ხელი შეუწყო პოლიტიკის ჩართულობას ელექტრომომარაგების ბაზრის რეფორმებსა და ჩვენებების აღებაში, რათა გაუმჯობესდეს საქართველოს ენერგოუსაფრთხოება.
- უხელმძღვანელა მოსამზადებელ სამუშაოს გადამცემი ხაზების დასაფინანსებლად, რაც გააძლიერებს შიდა გადამცემ სისტემას, ხელს შეუწყობს რა გენერირების ახალი ობიექტების საერთო შეკავშირებას და ქსელში ახალი განახლებადი პროექტების ინტეგრირების შესაძლებლობის შექმნას.
- დააფინანსა ელექტროქსელის რეაბილიტაციის პროექტი, რამაც უზრუნველყო როგორც საიმედო შთანთქმისუნარიანობა განახლებადი ელექტროენერგიის მწარმოებლებისთვის, ასევე საიმედო მიწოდება შორეული რეგიონებისთვის.
- მოახდინა TFP ხაზების მობილიზაცია 112 მლნ ევროს ოდენობით სამი ადგილობრივი პარტნიორი ბანკის მეშვეობით; ჩაატარა სემინარები PFI-ების TFP შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

# 1. წინა სტრატეგიის განხორციელება (2016-2021)

## *1.1. გარდაქმნის ძირითადი შედეგები*



**პრიორიტეტი 4: განახლებადი ელექტროენერგიის, რესურსების ეფექტიანობის და კლიმატის ცვლილებისადი ადაპტაციის მხარდაჭერა კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკის მედეგობის განსამტკიცებლად**

### გადასვლა მწვანე ეკონომიკაზე




### გარდაქმნის ძირითადი შედეგები

- მხარი დაუჭირა ენერგეტიკის სექტორის დერეგულირების „რეგულირების ზემოქმედების შეფასებას“ და დაიწყო ადმინისტრაციების დახმარება განახლებადი აუქციონების შემუშავებაში. იმუშავა მთავრობასთან, რათა ხელი შეეწყო და გაემრავალფეროვნებინა განახლებადი ენერგოგენერაციის წყაროები, ხელმძღვანელობდა რა მოსამზადებელ სამუშაოებს 50 მვ-მდე სიმძლავრის მზის პანელების აუქციონზე გასატანად.
- ბანკმა მხარდაჭერა აღმოუჩინა გორის ქარის ელექტროსადგურს, ქარის პირველ ელექტროსადგურს ამიერკავკასიაში, რომელიც ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ მალევე იქნა პრივატიზებული (CO2 დანაზოგი 24,000 ტონა/წელიწადში იმ დაშვების საფუძველზე, რომ დატვირთვის საშუალო კოეფიციენტი 40%-ია).
- მოახდინა ინვესტირება ქსელის გაძლიერებაში, რათა გაუმჯობესდეს ახალი განახლებადი ენერგოგენერაციის შთანთქმა.
- შეიმუშავა ენერგროეფექტიანობის პირველი სამოქმედო გეგმა (EEAP), რომელიც მთავრობამ მიიღო 2019 წ. და განაგრძო პოლიტიკური საკონსულტაციო მომსახურება საცხოვრებელი შენობების რეგულაციებთან დაკავშირებით.
- ინტენსიური პოლიტიკური დიალოგის შედეგად, დანერგა ბანკის მწვანე ქალაქის ჩარჩოები თბილისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტებში. ამ ჩარჩოების ფარგლებში EBRD-მ მხარდაჭერა აღმოუჩინა თბილისს, მაგ. სატრანსპორტო ქსელის გაუმჯობესებაში და ნარჩენებთან დაკავშირებული საფუძვლიანი სტრატეგიის მომზადებაში, საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლების კამპანიის ჩათვლით.
- ბათუმში ბანკმა მხარდაჭერა აღმოუჩინა მუნიციპალურ ავტოპარკს, რათა შეეძინათ ახალი დაბალბორტიანი ელექტროავტობუსები. ეს იყო ბანკის პირველი პროექტი, რომლითაც მუნიციპალურ ავტოპარკში შემოტანილ იქნა ელექტროავტობუსები.
- მხარდაჭერა აღმოუჩინა 3 ტრანზაქციას (თიბისი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ბაზის ბანკი) საერთო თანხით 40 მლნ ევრო, GEFF საკრედიტო ხაზების საშუალებით. დღეის მდგომარეობით, 22 ქვე-სესხის მიმღებმა ისარგებლა GEFF დაფინანსებით11.3 მლნ ევროს ოდენობით.
- ხელი მოაწერა 217 მლნ ევროს ოდენობის სესხს GOGC-სთვის, საქართველოს უმთავრესი ელექტრომომმარაგებლისთვის და კრიტიკული ინფრასტრუქტურის პროვაიდერისთვის, როგორც კრიზისულ პერიოდში დახმარებას „მწვანისკენ ძლიერი გადახრით“, რომელიც მოიცავს TC მხარდაჭერას მწვანე წყალბადის განვითარებისთვის და, ასევე, კლიმატის ცვლილების კორპორატიული მმართველობის გაუმჯობესებას, მათ შორის, ანგარიშგებას TCFD რეკომენდაციების შესაბამისად.
- მხარდაჭერა აღმოუჩინა ახალ პოლიტიკას სამთო მოპოვების სფეროში, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა და ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს სამთო კოდექსის დოკუმენტის პროექტზე.

დოკუმენტის პროექტი

# 1. წინა სტრატეგიის განხორციელება (2016-2021)

## *1.2. გამოწვევები განხორციელების გზაზე და მიღებული გამოცდილება*

European Bank
for Reconstruction and Development

**განხორციელების კონტექსტი**

საქართველოს უკეთესი შედეგები აქვს გარდაქმნების კონტექსტში უფრო კარგ მმართველობის, მედეგობის და ინტეგრირებული პარამეტრების თვალსაზრისით, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნები მიუხედავად არამდგრადი პოლიტიკური ლანდშაფტისა, წინა სტრატეგიული პერიოდი ხასიათდებოდა მთავრობის მისწრაფებით, რომ შესრულებულიყო DCFTA მოთხოვნები და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და, აგრეთვე, განხორციელებულიყო რეფორმები IMF პროგრამის ჩარჩოებში. აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკური ზრდა კვლავ ძლიერი იყო, რეგიონული სტრესის პირობებშიც კი. ეკონომიკური აქტივობა შემცირდა კოვიდ-19-ის კრიზისით მიყენებული გარე ზემოქმედების გამო და, მთავრობის მიერ გამოყენებული ყოვლისმომცველი მხარდაჭერის პაკეტის მიუხედავად, 2020 წ. ეკონომიკის განვითარების ტემპები შეწელდა. საქმიანობის დაწყებიდან, EBRD-მ მოახდინა 262 მლრდ ევროზე მეტის ინვესტირება კერძო და სახელმწიფო სექტორის პროექტებში. ბიზნეს- და დონორთა წრეებმა, რომლებსაც ვალდებულებები ჰქონდათ აღებული, ხელსაყრელი გარემო შექმნეს ქვეყნის სტრატეგიის განსახორციელებლად. ბანკმა დიდი ზემოქმედება მოახდინა გარდამავალ ეტაპზე, მხარი დაუჭირა რა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას, გააღრმავა რა ფინანსური შუამავლობა და ადგილობრივი კაპიტალის ბაზრები, გააფართოვა რა ბაზრები უკეთესი კავშირებისა და განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტურობის მხარდაჭერის გზით.

| გამოწვევები განხორციელების გზაზე | მიღებული გამოცდილება და შემდგომი ნაბიჯები |
|---|---|
| • სირთულეები სტრუქტურული რეფორმების გატარებაში ცვალებადი პოლიტიკური ვითარების გამო | • ღია დიალოგი ადმინისტრაციებთან, IFI-ებთან და დონორებთან. აქცენტი ჯანსაღი ბიზნესისა და ინვესტიციების ხელშეწყობაზე.<br>• პოლიტიკური ჩართულობის უწყვეტი აქტივობები, მათ შორის ინვესტორების საბჭოსა და ჯგუფის „კანონი გარდამავალ ეტაპზე“ საშუალებით, რომლებიც დახმარებას უწევენ მთავრობას უმნიშვნელოვანესი რეფორმების გატარებაში. |
| • ვალუტის გადაცვლის კურსის ცვალებადობა, შეზღუდული წვდომა ადგილობრივ ვალუტაზე | • შემდგომი ჩართულობა ადგიულობრივი ფულის, მეორადი ფასიანი ქაღალდებისა და კაპიტალის ბაზრების განვითარებაში, კერძოდ, საქართველოს კომპანიებისმიერ ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვების მხარდაჭერის გზით (მათ შორის, ევროკავშირის გრანტების საშუალებით, რომლებიც დაფარავს გამოშვების ხარჯებს), რაც გაზრდის ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთის საორიენტაციო ნიშნულის (TIBR) გამოყენებას ფინანსურ ინსტრუმენტებში და ადგილობრივი ბაზრის მონაწილეთა მიერ, მოხდება რა TIBR-თან დაკავშირებული პირველი ობლიგაციების გამოშვება ლარში და TIBR ინდექსთან მიბმული სესხების გაფართოება, ჩატარდება რა TIBR ინდექსთან მიბმული უეცარი ინდექსირებული სვოპი და გაფართოვდება რა პროდუქტების ასორტიმენტი, მათ შორის, დაფარული ობლიგაციების რეფორმის საშუალებით.<br>• თანამშრომლობა ევროკავშირთან, მათ შორის გრანტით დაფინანსების მისაღებად SMEs-ებისთვის, DCFTA შესაბამისობისა და გარანტიის ისნტრუმენტებისთვის. |
| • შეზღუდული სუვერენული ფისკალური სივრცე, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურიწ განვითარებისთვის. | • SOE კომერციალიზაციის PPP-ების და ფინანსურ ბაზრებზე წვდომის sმხარდაჭერა.<br>• IFI-ების მჭიდრო კოორდინაციის გაგრძელება, ევროკავშირის ჩათვლით, და გრანტებით თანადაფინანსება ხელმისაწვდომობის შემზღუდველი ფაქტორების დასაძლევად. |

PUBLIC

# 2. ეკონომიკური კონტექსტი



## *2.1 . მაკროეკონომიკური კონტექსტი და სტრატეგიული პერიოდის პერსპექტივა*

**საქართველო - ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები**

| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|
| მშპ-ს ზრდა (% წლიური) | 2.9 | 4.8 | 4.8 | 5.0 | -6.2 |
| CPI ინფლაცია (% საშ.) | 2.1 | 6.0 | 2.6 | 4.9 | 5.2 |
| მთავრობის ბალანსი (% მშპ, GFSM 2001) | -1.5 | -0.5 | -0.8 | -1.8 | -8.8 |
| მიმდინარე საგადახდო ბალანსი (% მშპ) | -12.5 | -8.0 | -6.8 | -5.5 | -12.4 |
| მთლიანი FDI (% of GDP) | -8.2 | -10.5 | -5.5 | -5.9 | -3.7 |
| საგარეო ვალი (% მშპ) | 105 | 107 | 101 | 107 | 128 |
| ბრუტო რეზერვები (% GDP) | 18.2 | 18.7 | 18.7 | 20.1 | 24.6 |
| ცენტრალური მთავრობისმთლიანი ვალი (% GDP) | 42.4 | 42.4 | 38.9 | 40.4 | 56.3 |
| უმუშევრობა (%) | 21.7 | 21.6 | 19.2 | 17.6 | 18.5 |
| ნომინალური მშპ (US$მლრდ) | 15.1 | 16.2 | 17.6 | 17.5 | 15.9 |

**საქართველო იმკის რა ბოლო ორ ათწლეულში განხორციელებული ფართომასშტაბიანი რეფორმების სარგებელს, იმავდროულად, ეკონომიკური დაახლოების დაჩქარებისთვის საჭიროა უწყვეტი ძლიერი ზრდის ტემპები.** რეფორმები, ამ ბოლო დროს საქართველოს ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ღონისძიებების შედეგად, გარდაქმნის საქართველოს ეკონომიკას და ამაღლებს მისი ზრდის პოტენციალს, კერძოდ, თუ გავითვალისწინებთ განვითარების დაბალ დონეს გარდაქმნის საწყის ეტაპზე. ვინაიდან მშპ ერთ სულ მოსახლეზე ბევრად დაბალია, ვიდრე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ეკონომიკის ძლიერი ზრდა უმნიშვნელოვანეს ფაქტორად რჩება ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებისთვის.

**პანდემიამ ხაზგასმით წარმოაჩინა სტრუქტურული რეფორმების განხორციელების აუცილებლობა** . სწრაფად მზარდმა სასტუმრო სექტორმა და ექსპორტმა - რომლებიც ზრდის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს - ქვეყანა გარე შოკის წინაშე დააყენა. შეკავების ღონისძიებები ტვირთად დააწვა შიდა მოთხოვნას და მომსახურების მცირე პროვაიდერებს. მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებათა სწრაფმა და ყოვლისმომცველმა პაკეტმა მხარდაჭერა აღმოუჩინა ეკონომიკას, განსაკუთრებით, ყველაზე მოწყლვად ჯგუფებს, თუმცა მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფო ვალის ტვირთი. აღდგენის გაგრძელებისა და მდგრადი ზრდის გზაზე დაბრუნებისთვის საჭიროა სტრუქტურული რეფორმების დღის წესრიგის გააქტიურება.

**კეთილგონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებას.** ტრადიციულად, დიდი უარყოფითი სალდო მიმდინარე ანგარიშზე - იმ დროს, როდესაც უმეტესწილად იფარება FDI-ის შემოსულობებით, რაც ინვესტიციების ზრდის მაღალ ტემპებს ინარჩუნებს - ვალუტის მერყეობის ერთერთი განმაპირობებელი ფაქტორია. დოლარის მომატებული კურსის პირობებში, გარე შოკები და პოლიტიკური სიტუაციის ცვალებადობა გამოცდას უწყობს საქართველოს ეკონომიკას. კეთილგონივრული სავალუტო პოლიტიკა, რომელიც ეყრდნობა სავალუტო კურსის მოქნილ რეჟიმს, სისტემატური წვდომას ოფიციალურ დაფინანსებაზე, ფისკალური პოლიტიკის დისციპლინა და ჯანსაღი საბანკო სექტორი ხელს უწყობს ზეწოლების დაბალანსებას.

**საქართველოს მჭიდრო კავშირები აქვს განვითარების პარტნიორებთან.** ცოტა ხნის წინ ეს მომგებიანი აღმოჩნდა, რადგან ხელისუფლებამ სწრაფად მიიღო მნიშვნელოვანი უცხოური დაფინანსება პანდემიის დასაწყისში, მათ შორის, გაფართოებული IMF პროგრამის ჩარჩოებში, რომელიც გამოიყენა საბიუჯეტო და გარე გარღვევების დასაფარად და საერთაშორისო რეზერვების შესანარჩუნებლად.

*წყაროები: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, IMF WEO 2021 წ. აპრილი, IMF საინფორმაციო ბიულეტენი # 21/106, EBRD გამოთვლები*

# 2. ეკონომიკური კონტექსტი

## 2.2 . უმთავრესი გამოწვევები გარდაქმნების გზაზე



### კონკურენტული (5.21)

- მსოფლიოში საუკეთესოთა შორის, **ბიზნესის ხელშემწყობი საკანონმდებლო გარემოს** მიხედვით.
- სახელმწიფო **მმართველობის გამოწვევები** და პოლიტიკური ეკონომიკის თავისებურებები ასუსტებს ბიზნეს გარემოს.
- პრიორიტეტს წარმოადგენს **გადახდისუუნარობის** ახალი კანონის განხორციელება; შესაძლებელია გაუმჯობესდეს საკანონმდებლო ჩარჩოები, **კონკურენციის შესახებ კანონის** ინსტიტუციები და აღსრულება.
- **სამუშაო ძალის უნარ-ჩვევები** არ ემთხვევა ბიზნესების განვითარებად საჭიროებებს.
- რესურსები შემოიფარგლება **დაბალპროდუქტული აქტივობებით** ხოლო ექსპორტში დომინირებს **დაბალი სირთულის** პროდუქტები და სერვისები.
- შეზღუდულია **ინტეგრაცია გლობალური ღირებულების დარიცხვის სისტემებში.**
- **ინფრასტრუქტურული ბარიერები** ზრდის ვაჭრობის ხარჯებს, ზღუდავს ბაზრებზე წვდომას და ამცირებს მიმზიდველობას პროდუქტიულობის გაძლიერებისკენ მიმართული უცხოური ინვესტიციებისთვის.
- შესაძლებელია გაუმჯობესდეს **დაფინანსებაზე წვდომა SME-ებისთვის.**

**შრომის პროდუქტიულობა**

*მშპ ერთ დასაქმებულ სულზე, PPP შესწორებულია, ათასი US$*




*წყარო: კონფერენციის საბჭოს მთლიანი ეკონომიკის მონაცემთა ბაზა*

### კარგი მმართველობის მქონე (6.42)

- მიუხედავად საქებარი პროგრესისა, **ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები სახელმწიფო მმართველობაში,** რადგან საქართველო კვლავაც ჩამორჩება ევროკავშირს უმეტეს სფეროებში.
- **შემცირებული პოლიტიკური არამდგრადობა, გაზრდილი პროგნოზირებადობა და ძლიერი ორიენტაცია** განვითარების გრძელვადიან პრიორიტეტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენს გადაწყვეტილებების მიღებაზე კერძო სექტორში ინვესტიციებთან დაკავშირებით.
- საუკეთესო რეიტინგის მქონე ქვეყანაა რეგიონში **კორუფციის აღქმის** მიხედვით, თუმცა გამოწვევები ჯერ კიდევ არსებობს, განსაკუთრებით **მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასთან** მიმართებაში.
- პრიორიტეტად რჩება **მართლმსაჯულების** დამოუკიდებლობის განმტკიცება, გამჭვირვალობა და ანგარიშგება და არაეფექტურობის შემცირება **სასამართლოს სისტემაში**.
- **კორპორატიული მმართველობის სტანდარტები** საჭიროებს გაუმჯობესებას.
- აშკარა ხდება **სახელმწიფო საწარმოების (SOEs) მმართველობის** გაუმჯობესების აუცილებლობა.

**მმართველობის ინდიკატორები მსოფლიოში**

*2020 წ.*




*წყარო: მსოფლიო ბანკი (2020) მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები, EBRD გამოთვლები*

### მწვანე (5.38)

- **ენერგოეფექტურობის** ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან სარგებელს მოიტანს, ვინაიდან საქართველოს ენერგოინტენსიურობა უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირის.
- **სათბურის გაზების ემისია** ენერგეტიკის სფეროში, რომელზეც მოდის მთლიანი ემისიების უმეტესი ნაწილი, იზრდებოდა უმეტესწილად საწვავის წვის აქტივობების გამო.
- ჰიდროენერგეტიკის ფარგლებს გარეთ არსებული **განახლებადი ელექტროენერგიის დიდი პოტენციალი,** უმეტესწილად, ჯერ კიდევ გამოუყენებელია. ერთადერთი ქარის ელექტროსადგური არა-ჰიდრო განახლებადი ელექტროენერგიის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ელექტროგენერაციაში.
- **ნარჩენების მართვა** საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, რადგან, შეფასების თანახმად, ნარჩენების უმეტესი ნაწილი, ევროკავშირის საშუალო მონაცემის ორმაგ ოდენობაზე მეტი, ხვდება ნაგავსაყრელებზე, რომლებიც არ არის სათანადოდ დაცული.
- საქართველო დგას **კლიმატის ცვლილების მძიმე უარყოფითი შედეგების** წინაშე, რამაც შეიძლება ასევე უარყოფითი ზემოქმედება იქნიოს ჰიდრორესურსებზე.

**ელექტროგენერაცია წყაროების მიხედვით**

*TWH-ში*




*წყარო: ESCO, EBRD გამოთვლები*

# 2. ეკონომიკურიკონტექსტი

## 2.2 . *უმთავრესი გამოწვევები გარდაქმნის გზაზე*



### ინკლუზიური (5.2)

- **უნარების შეუსაბამობა** იწვევს დასაქმების დაბალ შედეგებს და პასიურობას ახალგაზრდა ქალებსა და მამაკაცებში.
- **საქართველოს განათლების სისტემის დაბალი ხარისხი** უარყოფითად მოქმედებს სწავლის შედეგებზე, მაღალი სასწავლო მიღწევების მიუხედავად.
- **უნარ-ჩვევების კვლავ არსებული უკმარისობა** მოიცავს დაუკმაყოფილებელ მოთხოვნას ტექნიკური უნარ-ჩვევებზე.
- **არსებობს გენდერული უთანასწორობა** – განსაკუთრებით სამუშაო ძალის მონაწილეობის და ზრუნვის ეკონომიკური როლების თვალსაზრისით.
- **გენდერული უთანასწორობა გადახდის თვალსაზრისით ჯერ კიდევ დიდია** მიუხედავად იმისა, რომ ქალები მრავლად არიან წარმოდგენილნი მაღალკვალიფიცირებულ სამუშაო ადგილებზე.
- **წვდომა დაფინანსებაზე რჩება უმთავრეს ბარიერად** ქალების, ახალგაზრდების და დედაქალაქის ფარგლებს გარეთ მაცხოვრებელი მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოების გზაზე.
- არის მნიშვნელოვანი რეგიონული შეუსაბამობები ეკონომიკური შესაძლებლობების ხელმისაწვდომობაში, დასაქმებასა და საჯარო სერვისებზე წვდომაში.

### მედეგი (6.16)

- **საბანკო სექტორმა გამოავლინა მედეგობა** არახელსაყრელი გარემოებებისადმი. იგი სრულად კერძოა და უმეტესწილად უცხოურ საკუთრებაშია.
- **კონცენტრაციის რისკს** - რადგან სისტემაში დომინირებს ორი ბანკი - არბილებს საქმიანობის მაღალი შედეგები.
- **საფინანსო სისტემამ** კარგად დაძლია კრიზისი, საკანონმდებლო ორგანოს შემაკავებელი ღონისძიებების დახმარებით.
- **დოლარიზაცია** მუდმივი პრობლემაა. ბანკების საშუალო და გრძელვადიანი დაფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილი გაიცემა უცხოურ ვალუტაში.
- **შიდა კაპიტალის ბაზრები** არასაკმარისადაა განვითარებული და აკლია სიმძლავრე, რათა დააკმაყოფილოს იურიდიული პირების საჭიროებები ადგილობრივ ვალუტაში საბითუმო დაფინანსების მხრივ.
- **ხაზინის მართვის სათანადო IT სისტემების ნაკლებობა** საბანკო სექტორში აფერხებს ადგილობრივი ვალუტაში მეორადი ფასიანი ქაღალდების და კაპიტალის ბაზრების განვითარებას.
- **ელექტროენერგიის იმპორტიორი** წიაღისეული საწვავის არქონის გამო.
- **ელექტროგენერაციაში** დომინირებს ჰიდროელექტროსადგურები, ხოლო სხვა განახლებადი წყაროები ძალიან არასაკმარისად გამოიყენება.
- გაზის სუბსიდიები **ამახინჯებს** ენერგეტიკის ბაზარს და არ შეესაბამება **მიმდინარე ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.**

### ინტეგრირებული (6.49)

- **საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი,** როგორც მშპ-ს წილი აღემატება EBRD -ის საშუალო მაჩვენებელს, თუმცა მისი მამოძრავებელი ძალაა ტურიზმის სექტორი.
- **დაბალი საშუალო ტარიფები** და **DCFTA** ხელშეკრულება ევროკავშირთან იძლევა ვაჭრობის შესაძლებლობებს, რაც ჯერ არ არის სრულად გამოყენებული.
- საქართველოს **გახსნილობა FDI შემოსულობებისადმი** აღემატება ეეკ-ის საშუალო მაჩვენებელს, თუმცა მისმა შემადგენლობამ ბოლო პერიოდში გადაინაცვლა რეინვესტირებული შემოსავლებისკენ.
- **ინფრასტრუქტურის ხარისხი** საჭიროებს გაუმჯობესებას როგორც საგარეო ინტეგრაციის გასაძლიერებლად, ასევე უფრო ეფექტური შიდა კავშირებისთვის.
- **ლოგისტიკურ კომპეტენციას** ესაჭიროება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.
- **ელექტრომომარაგების ხარისხი,** ელექტროენერგიის გადაცემა, 3G დაფარვა, ფართოზოლიან ქსელთან წვდომა აღემატება რეგიონულ და EBRD-ის საშუალო მონაცემებს.

**განათლების შედეგები**




*წყარო: OECD (2018) PISA, WEF (2019) გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, EBRD გამოთვლები*

**დოლარიზაციის დონე საბანკო სექტორში**

*როგორც მთლიანი დეპოზიტების/სესხების წილი*




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, EBRD გამოთვლები*

**გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი**

*ადგილი 140-ს შორის, 2019 წ.*




*წყარო: WEF (2019) გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი*

# 3. მთავრობის პრიორიტეტები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა



## 3.1. მთავრობის რეფორმის პრიორიტეტები

**"2021-2024 წ.წ. სახელმწიფო პროგრამის - ევროპული სახელმწიფოს შენებისკენ"** უმთავრეს მიზანს წარმოადგენს პანდემიასთან დაკავშირებული კრიზისის დაძლევა, ეკონომიკის სწრაფი აღდგენისა და განვითარების უზრუნველყოფა და ყოველი მოქალაქისთვის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

**ეკონომიკური განვითარება** – აქცენტს აკეთებს ეკონომიკური ზრდის წახალისებაზე, კრიზისის შემდეგ ბიზნესის სწრაფი აღდგენის ხელშეწყობაზე. სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ყველა ხელმისაწვდომ ინსტრუმენტს გამოიყენებს, რათა ხელი შეუწყოს დამატებითი სტიმულის შექმნას ეკონომიკური განვითარებისთვის და კიდევ უფრო გაუმჯობესოს სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო.

**სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება** – ადამიანური კაპიტალის უფლებების გაფართოების მხარდაჭერა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკურ განვითარებაში, ასევე, ხელს უწყობს სოციალური უსაფრთხოების სათანადო სისტემის განვითარებას, ჯანდაცვის სისტემების შემდგომ პროგრესს; და შემოაქვს განათლების ხარისხიანი, ხელმისაწვდომი სისტემა.

**სახელმწიფო მმართველობა** –ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუციების და კვალიფიცირებული და პატიოსანი საჯარო მოხელეების ხელშეწყობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეფექტურ სახელმწიფო მმართველობას და მთავრობის შედეგზე ორიენტირებულ მუშაობას, რაც უნდა ჩანდეს და ხელშესახები უნდა იყოს ყველა მოქალაქისთვის.

**ევროკავშირთან ინტეგრაცია** - აქტიური მუშაობის გაგრძელება ასოცირების ხელშეკრულების ეფექტურად განხორციელებისთვის და მონაწილეობის მიღება მის მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობებში, DCFTA კომპონენტის ჩათვლით.

**ინფრასტრუქტურის განვითარება** – საქართველოს, როგორც რეგიონალური ჰაბის პოტენციალის გაძლიერება ინფრასტრუქტურის განვითარების გზით, მათ შორის: ეროვნული და საერთაშორისო გზების მშენებლობა და გარემონტება; სტაბილური წყალმომარაგების უზრუნველყოფა; ენერგო-დამოუკიდებლობის და უსაფრთხოების განვითარება; ავიაციისა და ლოგისტიკის დარგების აღდგენა.

**ICT** – საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინფორმირებულობის განვითარება ფართოზოლიანი ინფრასტრუქტურის განვითარების, საქართველოს გავლით ევრაზიის დამაკავშირებელი ციფრული სატრანზიტო ჰაბის შექმნის, სახელმწიფო და კერძო სექტორში ციფრული სერვისების განვითარების, ციფრული ტექნოლოგიების ცოდნის გაძლიერების გზით.

**ტურიზმი** – ამ დარგს ყველაზე დიდი დარტყმა მიაყენა პანდემიამ. ტურიზმის განვითარების ახალი სტრატეგია დაეფუძნება გამრავალფეროვნებას და ხარისხობრივ გაუმჯობესებას. გათვალისწინებული იქნება ბიზნესის მხარდაჭერა მაღალხარისხიანი სერვისების შეთავაზების თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში უფრო მაღალი დონის ტურისტების მოზიდვას.

**სოფლის მეურნეობა** - ზრდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს და ამცირებს იმპორტზე დამოკიდებულებას, აძლიერებს რა კონკურენტუნარიანობას სექტორში, ინარჩუნებს პროდუქციის სტაბილურ ზრდას, ხელს უწყობს სურსათის უვნებლობას და მხარდაჭერას უწევს სოფლებს.

## 3.2. EBRD რეფორმის სფეროები ფართოდაა შეთანხმებული ხელისუფლებასთან

- ადგილობრივი ვალუტისა და კაპიტალის ბაზრების განვითარების ხელშეწყობა ინვესტიციების და პოლიტიკური ჩართულობის გზით, ეროვნულ ბანკთან მჭიდრო კოორდინაციით. ახალი, დახვეწილი და მწვანე ფინანსური პროდუქტების დანერგვის ხელშეწყობა.
- ფინანსებზე SME-ების და ადგილობრივი იურიდიული პირების, მათ შორის მარგინალიზირებული ჯგუფების და სასოფლო რეგიონების ინკლუზიური ხელმისაწვდომობის გაძლიერება.
- კერძო სექტორის ზრდის ხელშეწყობის გაგრძელება ინვესტიციებისა და კონსულტაციების საშუალებით, ეკონომიკური ინტეგრაციისა და კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა ადგილობრივი იურიდიული პირების DCFTA-სთან შესაბამისობაში მოყვანის გზით.
- SOE რეფორმის გაგრძელება და კომერციალიზაცია ხელისუფლებასთან და სხვა IFI-ებთან მჭიდრო კოორდინაციით.
- ბანკის პროექტებში განათლების და პროფესიული სწავლების მხარდამჭერი ღონისძიებების ინტეგრირების შესაძლებლობების კვლევა.
- ინფრასტრუქტურის ხარისხის და კავშირების გაუმჯობესება ეფექტიანი ეკონომიკური ურთიერთქმედებისთვის, მათ შორის, საქართველოს ქალაქებთან მუშაობის საშუალებით.
- ენერგეტიკის სტრუქტურის გამრავალფეროვნება და განახლებადი ელექტროენერგიის გენერაციაზე გადასვლის დაჩქარება ინვესტიციებისა და პოლიტიკური ჩართულობის გზით.
- ენერგიისა და რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესების ღონისძიებების გაგრძელება მუნიციპალიტეტებთან და კერძო სექტორთან პროექტების განხორციელების გზით.
- .

## 3.3. უმთავრესი შეტყობინებები EBRD-ს სამოქალაქო საზოგადოებისგან

- CSO-ებმა აღნიშნეს, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია აქცენტი მდგრადობასა და განათლებაზე (ფორმალურ, არაფორმალურ, პროფესიულ). CSO-ების შეკითხვები შეეხებოდა განათლების სფეროში აქტივობებისა და ჩარევების გაზრდის აუცილებლობას და ინფრასტრუქტურულ ხარჯებს.
- CSO-ებმა შეშფოთება გამოხატეს მოსახლეობის მზარდი ვალების, ფინანსებზე და დონორთა მიერ დაფინანსებაზე შეზღუდული წვდომის გამო ახალი მცირე ბიზნესებისთვის. მათ ხაზგასმით აღნიშნეს მარგინალური ჯგუფების ინკლუზიის, სიღარიბის აღმოფხვრის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობა.
- CSO-ებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად არსებულ ეკონომიკურ გარემოში განახლებადი ენერგია, როგორც ჩანს, პრიორიტეტს მოკლებულია, ხოლო ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება მხოლოდ ნელა მიმდინარეობს, როგორც მიღებული კანონმდებლობის ნაწილი. შემდგომ, CSO-ებმა გამოხატეს პოზიცია, რომ ჰიდროელექტროსადგურები არ უნდა ითვლებოდეს მდგრადად გარემოსა და საზოგადოებაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების გამო.

# 4. EBRD-ის ქვეყნის სტრატეგიის პრიორიტეტების განსაზღვრა



| • რა საჭიროებს შეცვლას? • (ქვეყნის დიაგნოსტიკა) | • შესაძლებელია თუ არა მისი შეცვლა? • (პოლიტიკური ეკონომია) | • რისი გაკეთება შეუძლია ბანკს? • (ინსტიტუციონალური შესაძლებლობები) | | |
|---|---|---|---|---|
| • სახელმწიფოს გავლენა მნიშვნელოვანი რჩება ზოგიერთ სექტორში, რაც ზრდის ფისკალურ რისკს და ზღუდავს ეფექტიანობას.<br>• ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების დაბალი წილი, განსაკუთრებით, შედარებით მდიდარი ბაზრებისკენ.<br>• ფინანსებზე წვდომა SME-ების ორი უმთავრესი შემზღუდველი ფაქტორიდან ერთერთია.<br>• იურიდიულ პირებს ზიანს აყენებს მწირი კაპიტალის ბაზრები; სესხის გაცემის მაღალი განაკვეთები ხელს უშლის გრძელვადიან კაპიტალდაბანდებებს ადგილობრივ ვალუტაში და განაპირობებს გამუდმებულ დოლარიზაციას. | • SME-ების ნაერთი მოთხოვნა სესხებზე საქართველოში ჯერ კიდევ მაღალია.<br>• მთვარობა ამზადებს ყოვლისმომცველ SOE მმართველობის რეფორმას.<br>• ბოლოდროინდელმა რეფორმებმა განამტკიცა სამართლებრივი და საკანონმდებლო ჩარჩოები კაპიტალის ბაზრებისთვის. ეროვნული ბანკის ღონისძიებებმა გაუმჯობესა წვდომა ლარის ლიკვიდურობაზე.<br>• DCFTA ხელს უწყობს წვდომას ევროკავშირის ბაზარზე. | • აქცენტი კერძო სექტორის მხარდაჭერაზე ფინანსური ინვესტიციების - მათ შორის, ადგილობრივ ვალუტაში, კლიმატის დაფინანსების, პოლიტიკური ჩართულობის და ტექნიკური დახმარების გზით.<br>• მცირე ბიზნესის ინიციატივა, რომ უზრუნველყოფილ იქნას SME-ებისთვის სპეციალურად გამოყოფილი მხარდაჭერა.<br>• საინვესტიციო კლიმატის და მმართველობის ინიციატივის მხარდაჭერა ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისთვის. | ეკონომიკის მწარმოებლობისა და მედეგობის გაუმჯობესება გაძლიერებული კონკურენტუნარიანობისა და ფინანსებზე წვდომის გზით | • კონკურენტუნარიანი კომპანიების გაფართოება, რაც ხელს უწყობს კერძო კომპანიებისთვის ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნას.<br>• გაუმჯობესებული ბიზნეს-კვალიფიკაცია, სტანდარტები და ბიზნესის განვითარება; SME-ების გაძლიერებული როლი ეკონომიკაში.<br>• ფინანსური პროდუქტების და სერვისების გაზრდილი მრავალფეროვნება და დახვეწილობა (ადგილობრივი ვალუტა); განვითარებული ადგილობრივი კაპიტალის ბაზარი. |
| • დასაქმების დიდი წილი კვლავ თავმოყრილია დაბალი მწარმოებლობის მქონე სექტორებში.<br>• სულ უფრო და უფრო მეტი ქართული კომპანია აცხადებს, რომ სამუშაო ძალის ცუდი კვალიფიკაცია უპირველესი შეზღუდვაა, რაც განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდებზე.<br>• ასევე, ქალები გაცილებით ნაკლებად აქტიურნი არიან შრომის ბაზარზე. ფინანსებზე წვდომა ერთერთი უმთავრესი დაბრკოლებაა.<br>• ლოგისტიკის ხარისხის და კავშირების მიხედვით საქართველოს დაბალი ადგილი უკავია. | • ხელისუფლება მუშაობს საგანმანათლებლო სისტემის, მათ შორის პროფესიული სწავლების და მოზრდილთა სწავლების ყოვლისმომცველ რეფორმაზე.<br>• ქალები ძალიან აქტიურნი არიან მაღალკვალიფიციურ თანამდებობებზე საქართველოში.<br>• ინფრასტრუქტურის და ლოგისტიკის გაუმჯობესებას შეუძლია შექმნას ახალი და ინკლუზიური შესაძლებლობები.<br>• მთავრობის ყურადღების ცენტრშია კარგი საგზაო ქსელის აშენება. | • გაძლიერებული აქცენტი დასაქმების შესაძლებლობასა და კვალიფიკაციაზე წვდომაზე, ახალი პროდუქტების ჩათვლით.<br>• გენდერული თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესაბამისობაში მოყვანა. გაძლიერებული შესაძლებლობები თანასწორი შესაძლებლობის ხელშესაწყობად.<br>• პროდუქტების ფართო სპექტრი ინფრასტრუქტურული ინვესტიციებისთვის, ციფრული ინფრასტრუქტურის ჩათვლით. | თანასწორი შესაძლებლობების ხელშეწყობა უკეთესი ინკლუზიის და დაბალანსებული ტერიტორიული განვითარების გზით | • გაზრდილი წვდომა უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობებზე, რაც ხელს უწყობს კვალიფიკაციის შეუსაბამობის შემცირებას (სქესი, ასაკი, რეგიონები)<br>• გაზრდილი წვდომა ფინანსებსა და სერვისებზე (სქესი, ახალგაზრდობა, რეგიონები)<br>• მდგრადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებული ხარისხი და კავშირები უფრო ეფექტური ეკონომიკური ურთიერთქმედებისთვის. |
| • მოთხოვნის ზრდის დასაკმაყოფილებლად საჭიროა ინვესტიციები გენერაციის სიმძლავრეში.<br>• დამოკიდებულება იმპორტზე, მაღალი ენერგოტევადობა, სეზონურობა და მაღალი კლიმატური რისკი ენერგოგენერაციაში, სადაც დომინირებს ჰესები, განაპირობებს ენერგეტიკის სექტორის მედეგობის გაუმჯობესებას და მწვანე გარდაქმნის დაჩქარებას.<br>• გაზის სექტორის პრეფერენციული პირობები ამახინჯებს ბაზარს ელექტროენერგიის სხვა წყაროებისთვის. | • აღებულია ვალდებულება, რომ 2030 წლისთვის, 1990 წელთან შედარებით, 50-57%-ით შემცირდეს სათბური აირების ემისია.<br>• საქართველო წარმატებით ასრულებს ვალდებულებას, რომ მოახდინოს ენერგეტიკის სექტორის გარდაქმნა ევროკავშირის მესამე ენერგო-პაკეტის შესაბამისად, სრულად კონკურენტულ ბაზარზე ეტაპობრივი გადასვლის ჩათვლით.<br>• იცვლება სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმი განახლებადი ტექნოლოგიებისთვის, რათა გაძლიერდეს ფისკალური მდგრადობა. | • განახორციელა სისტემური მიდგომა მწვანე, დაბალ-ნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლისადმი ახალი GET მიდგომის ჩარჩოებში 2021-2025 წ.წ.<br>• მხარდაჭერა NDC და სხვა ეროვნულ და ადგილობრივ კლიმატთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში.<br>• მწვანე ქალაქების ყოვლისმომცველი პროგრამა და ენერგო- და რესურსების ეფექტურობის პროდუქტების ფართო სპექტრი. | მწვანე გარდაქმნის დაჩქარება გაზრდილი ინვესტიციებისა და უკეთესი მმართველობის გზით | • განახლებადი ელექტროენერგიის გაზრდილი გენერაცია<br>• ელექტროენერგიის და რესურსების გაზრდილი ეფექტურობა; სათბურის გაზების ემისიის შემცირება.<br>• მწვანე გარდაქმნის მხარდამჭერი მმართველობის განმტკიცებული პრაქტიკა. |

# 5. აქტივობებისა და შედეგების ჩარჩოები

European Bank
for Reconstruction and Development

## პრიორიტეტი 1: ეკონომიკის პროდუქტიულობის და მედეგობის გაუმჯობესება გაძლიერებული კონკურენტუნარინობისა და ფინანსებზე წვდომის გზით

| უმთავრესი მიზნები | აქტივობები | შეფასების ინდიკატორები (შედეგები) |
|---|---|---|
| კონკურენტუნარიანი კომპანიების გაფართოება, კერძო სექტორის ხელშემწყობი ბიზნეს-გარემოს მხარდაჭერა | • ადგილობრივი იურიდიული პირებისა და SME-ების პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსება, მათ შორის, ექსპორტის პოტენციალის გაზრდა DCFTA-სთვის მხარდასაჭერად და დახმარება ლოგისტიკაში, დისტრიბუციაში, მარკეტინგსა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში. აქცენტის გაკეთება კოვიდ-19-ის შემდგომი აღდგენის ინსტრუმენტებზე მთელ ეკონომიკაში.<br>• ბიზნეს-კლიმატის გაუმჯობესების ხელშეწყობა ევროკავშირთან და სხვა დონორებთან თანამშრომლობით, მათ შორის, ინვესტორთა საბჭოს უწყვეტი მხარდაჭერით და საკანონმდებლო და სამართლებრივ რეფორმაში პოლიტიკური ჩართულობის გზით.<br>• ღირებულების ზრდის სისტემის გაღრმავებისა და გამწვანების მხარდაჭერის შესაძლებლობების კვლევა, მათ შორის, მიწოდების სისტემის დაფინანსების და მისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის გზით და, განსაკუთრებით, ტურიზმის სექტორში. აგრობიზნესში და M&S.<br>• ვაჭრობის გაფართოების მხარდაჭერა ვაჭრობის ხელშეწყობის გზით.<br>• სახელმწიფო რეფორმების მხარდაჭერა ეკონომიკური მედეგობის  და კოვიდ-19-ის შემდგომი აღდგენის სფეროში, მათ შორის, დახმარების გაწევა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის, გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად.<br>• ციფრული პლატფორმების შემუშავების ხელშეწყობა სამეწარმეო ეკოსისტემის მხარდასაჭერად.<br>• ადრეულ ეტაპზე მყოფი იმ კომპანიების წახალისება, რომლებიც ციფრულ პრაქტიკას ნერგავენ, მათ შორის, კონსულტაციების გზით.<br>• სახელმწიფო საწარმოების კომერციალიზაციის ხელშეწყობა, მათ კორპორატიული მმართველობის გაუმჯობესების და ციფრულ ფორმატში გადასვლის გაძლიერების ჩათვლით.<br>• სამთო-მომპოვებელი სექტორის რეფორმის მხარდაჭერის გაგრძელება, გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე ყურადღების გამახვილებით.<br>• სახელმწიფო შესყიდვების მხარდაჭერა პოლიტიკური კონსულტაციების გზით, მათ შორის ელ-შესყიდვების გადაწყვეტებისთვის. | • დაფინანსებულია რისი იურიდიული პირები და SME კლიენტები<br>• სამართლებრივი და საკანონმდებლო რეფორმა (მათ შორის, ახალი სამთო კოდექსი და შემდგომი სამართლებრივი და საკანონმდებლო ღონისძიებები ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისთვის<br>• TFP ტრანზაქციები მთლიანი რაოდენობა/ მოცულობა, რომლებიც დააფინანსა ბანკმა<br>• ინტერვენციების / TC-ების რაოდენობა  SOE მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად |
| გაუმჯობესებული ბიზნეს-კვალიფიკაცია, სტანდარტები და ბიზნესის დახვეწა; SME-ების გაძლიერებული როლი ეკონომიკაში | • საკრედიტო ხაზებისა და რისკების გაზიარების ინსტრუმენტების ამოქმედება ადგილობრივ ბანკებთან და არა-საბანკო ფინანსურ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო მხარდაჭერის შესაბამის პროგრამებთან ერთად, SME -ებისთვის დაფინანსებაზე წვდომის გაზრდის მიზნით.<br>• საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ბიზნეს-სტანდარტების და კორპორატიული მმართველობის გაუმჯობესების და ციფრულ ფორმატში გადაყვანის, ექსპორტის კონკურენტუნარიანობის, მწვანე გარდაქმნის, ინკლუზიისა და კვალიფიკაციის და  ESG ხელშეწყობის მიზნით.<br>• საქართველოში უცხოური ინვესტიციების მხარდაჭერა საერთაშორისო კავშირების გაფართოების, წარმოების ბაზის განმტკიცების და ეკონომიკის მრავალფეროვნების გაზრდის მიზნით. | • პარტნიორი საფინანსო ორგანიზაციების მიერ SME-ებისთვის აღებული და გადასახდელი სესხების მთლიანი რაოდენობა/ მოცულობა<br>• რიგი ASB-ების ანგარიში გაზრდილი ექსპორტისა და/ან მწარმოებლობის შესახებ |
| ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების გაზრდილი მრავალფეროვნება და დახვეწილობა (ადგილობრივი ვალუტა); ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარება; | • ადგილობრივი ვალუტის ინსტრუმენტების გაფართოების ხელშეწყობა, მათ შორის, საქართველოს ეროვნულ ბანკთან პოლიტიკური ურთიერთობის გზით<br>• DCFTA ინსტრუმენტების გამოყენების გაფართოება<br>• ფაქტორინგის შემოღების მხარდაჭერა, მათ შორის, პოლიტიკური ჩართულობა ფაქტორინგისა და ლიზინგის კანონმდებლობასთან დაკავშირებით და სხვა არა-საბანკო ფინანსური პროდუქტების ლიზინგის გაფართოება.<br>• ადგილობრივი ვალუტის, მეორადი ფასიანი ქაღალდების და კაპიტალის ბაზრების განვითარების და  სააქციონერო კაპიტალში და კვაზი-კაპიტალში ინვესტიციების ხელშეწყობის გაგრძელება, მათ შორის, პოლიტიკური ჩართულობისა და საწყისი ინვესტიციების გზით, რათა გაფართოვდეს კორპორატიული ფასიანი ქაღალდების ბაზარი და შემოღებულ იქნას ახალი ფინანსური ინსტრუმენტები, მაგ. მწვანე პროდუქტები. | • ადგილობრივ ვალუტაში განხორციელებულ ტრანზაქციათა რაოდენობა<br>• გაუმჯობესებულია სამართლებრივი, ინსტიტუციონალური ან საკანონმდებლო ჩარჩოები ფაქტორინგისთვის |

**ზემოქმედების ინდიკატორი:** ეკონომიკური სირთულის ინდექსი *(ჰარვარდი, საერთაშორისო განვითარების ცენტრი)*
სესხები უცხოურ ვალუტაში *(% მთლიანი სესხებიდან, IMF)*

PUBLIC

# 5. აქტივობებისა და შედეგების ჩარჩოები

European Bank
for Reconstruction and Development

## პრიორიტეტი 2: თანასწორი შესაძლებლობების ხელშეწყობა უკეთესი ინკლუზიის და დაბალანსებული ტერიტორიული განვითარების გზით

| უმთავრესი მიზნები | აქტივობები | შეფასების ინდიკატორები (შედეგები) |
|---|---|---|
| გაზრდილი წვდომა უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობებზე, რაც ხელ შეუწყობს კვალიფიკაციის შეუსაბამობის შემცირებას | • უთანასწორო შესაძლებლობებზე მიმართული ეკონომიკური ინკლუზიის პროდუქტებისა და ღონისძიებების ფართო სპექტრის გაგრძელება, კლიენტზე ორიენტირებული საკონსულტაციო საქმიანობის და ინკლუზიური შესყიდვების ხელშეწყობისა და შესაბამისი პოლიტიკური ჩართულობის გზით.<br>• ციფრულ ფორმატზე გადასვლასთან და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ცოდნის და უნარ-ჩვევების გაძლიერება, განსაკუთრებით ქალებში, სერვისების ნაკლებობის მქონე რეგიონებში და სხვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჯგუფებში (მაგ. IT უნარების განმტკიცება ტურიზმის სექტორში)<br>• EBRD-ის ტრანზაქციებთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარების გაგრძელება და ურთიერთობა სახელმწიფო და კერძო დაინტერესებულ მხარეთა სრულ სპექტრთან, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებასთან, რათა მოგვარდეს კვალიფიკაციის შეუსაბამობის საკითხები და შემცირდეს გენდერული დისბალანსი სამუშაო ძალაში (მაგ. კურიკულუმისა და უნარ-ჩვევების განვითარების მხარდაჭერა პროფესიული სწავლებისა და უმაღლესი განათლებისთვის). | • იმ პირების რაოდენობა სამიზნე ჯგუფიდან, რომლებიც იმაღლებენ კვალიფიკაციას ტრენინგის შედეგად<br>• იმ კლიენტების რაოდენობა, რომლებიც აუმჯობესებენ თანასწორი შესაძლებლობების პრაქტიკას |
| გაზრდილი წვდომა ფინანსებსა და სერვისებზე (სქესი, ახალგაზრდობა, რეგიონები) | • ინვესტიციების განხორციელება და პოლიტიკურ დიალოგში ჩართვა საზოგადოებრივი სერვისების, მათ შორის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისთვის.<br>• ქალთა, ახალგაზრდობის და სხვა სამიზნე ჯგუფების ეკონომიკური ინკლუზიის ხელშეწყობა ფინანსებზე ტერიტორიულად დაბალანსებული წვდომის მხარდაჭერის, ინკლუზიური ინფრასტრუქტურული სერვისების გაფართოების და ახალ სამიზნე ჯგუფზე ორიენტირებული საკრედიტო ხაზების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების შემოღების შესაძლებლობების კვლევის გზით.<br>• ციფრული ინფრასტრუქტურის (ფართოზოლიანი, 5G) შემოღება და განმტკიცება ციფრული სერვისების ზრდის - მათ შორის სოფლებში - შესაძლებლობის შესაქმნელად. პოლიტიკური ჩართულობა ინოვაციებისა და ციფრული სერვისების მქონე კომპანიების (მათ შორის, სმარტ ქალაქების) გასაძლიერებლად. | • სერვისებზე (მაგ. IT, ტრანსპორტი და მუნიციპალური სერვისები) გაუმჯობესებული წვდომის მქონე ინდივიდების რაოდენობა |
| მდგრადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებული ხარისხი და შეკავშირებულობა ეფექტიანი ეკონომიკური ურთიერთქმედებისთვის | • ინვესტიციები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასა და ლოგისტიკაში, ფოკუსირებული, სხვა საკითხებთან ერთად, ეროვნული და ტრანს-სასაზღვრო შეკავშირებულობის გაძლიერებაზე, რაც ხელს უწყობს ინკლუზიურობას და გენდერულ თანასწორობას და კლიმატისადმი მედეგობის განმტკიცებას.<br>• ქალაქების აღორძინებისა და რეგიონული განვითარების შესაძლებლობების კვლევა კულტურული მემკვიდრეობის ჩარჩოებში.<br>• ტურიზმის ხელშემწყობი მდგრადი ინფრასტრუქტურის დაფინანსება.<br>• მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და წყალმომარაგების, ჩამდინარე წყლების, ენერგეტიკული ქსელებისა და ციფრული კავშირების გაფართოება ციფრულო ფორმატში გადასვლის გზით, მათ შორის, მწვანე ქალაქების პროგრამის კომპეტენციის ფარგლებში.<br>• PPP-ების განვითარების შესაძლებლობების კვლევა შესაძლებლობების განვითარებასთან და პოლიტიკურ ჩართულობასთან კომბინაციაში, შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოებისთვის. | • ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სარგებელს იღებენ ახალი/ უკეთესი მუნიციპალური ინფრასტუქტურისგან |

**ზემოქმედების ინდიკატორი:** სხვაობა სამუშაო ძალაში ქალებისა და კაცების მონაწილეობის დონეებს შორის (% *განსხვავება, ILOSTAT*)
გზების დაკავშირებულობა (გზის სისწორის კორექტირება, *EBRD*)

PUBLIC

# 5. აქტივობებისა და შედეგების ჩარჩოები



## პრიორიტეტი 3: მწვანე გარდაქმნის დაჩქარება გაზრდილი ინვესტიციებისა და უკეთესი მმართველობის გზით

| უმთავრესი მიზნები | აქტივობები | შეფასების ინდიკატორები (შედეგები) |
|---|---|---|
| განახლებადი ელექტროენერგიის გაზრდილი გენერაცია | • ენერგოსექტორის გაფართოებისა და გამრავალფეროვნების მხარდაჭერა განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების და შესაბამისი ქსელების განვითარების გზით. ენერგეტიკის ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობის შესაძლებლობების ძიება და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მხარდაჭერა.<br>• განახლებადი ელექტროენერგიის გენერაციისა და მოხმარების დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა.<br>• პოლიტიკური ჩართულობის გაგრძელება განახლებად ელექტროენერგიის კანონმდებლობასთან და რეგულირებასთან დაკავშირებით, განახლებადი ელექტროენერგიის აუქციონებისა და ტარიფების მეთოდოლოგიის ჩათვლით.<br>• პარიზის დაბალი ნახშირბადის გზასთან შესაბამისობასთან ერთად, დამატებითი მოქნილი გადაწყვეტების მხარდაჭერა ენერგოსისტემაში, მათ შორის, პოლიტიკური ჩართულობის გზით.<br>• გენდერული და ინკლუზიურობის კომპონენტების გათვალისწინება ელექტრო- და ენერგო-ოპერაციებში. | • CO2 ემისია შემცირებულია/ თავიდან აცილებულია (ტონა წელიწადში)<br>• ინსტალირებულია განახლებადი ენერგოსიმძლავრე (მვტ)<br>• გაუმჯობესებულია განახლებად წყაროებთან დაკავშირებული სამართლებრივი, ინსტიტუციონალური ან საკანონმდებლო ჩარჩოები (მათ შორის, კონკურენტუნარიანი ენერგობაზრის შექმნა და წარმატებული ოპერირება). |
| გაზრდილი ენერგო- და რესურსების ეფექტურობა, სათბურის გაზების ემისიის შემცირება | • საქართველოს NDC-ის განხორციელების მხარდაჭერა კერძო სექტორში ენერგო- და რესურსების ეფექტურობის ამაღლებაში ინვესტირების გზით. კერძო კომპანიების იმ პროდუქტებისა და პროცესების ინოვაციის დაფინანსება, რომლებიც მიმართულია ენერგოეფექტურობის ღონისძიებებისა და მწვანე ტექნოლოგიების დანერგვისკენ.<br>• GEFF-ების გაგრძელება და სხვა ინსტრუმენტების შემუშავების მხარდაჭერა, რათა დაფინანსდეს მწვანე გარდაქმნა (მაგ. მწვანე საკრედიტო ხაზები მოსახლეობისთვის, მწვანე ობლიგაციები).<br>• ინვესტიციების და პოლიტიკური ჩართულობის გაგრძელება საზოგადოებრივ და საცხოვრებელ სახლებში ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად. მწვანე გარდაქმნის მხარდაჭერა მწვანე ქალაქების პროგრამის საშუალებით.<br>• მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვაში ინვესტიციების მხარდაჭერა, პოლიტიკურ ჩართულობასთან ერთად.<br>• სამრეწველო ნარჩენების მინიმიზაციაში ინვესტიციების დაფინანსება.<br>• ენერგო-აუდიტების განხორციელების და ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კონსულტაციების გაგრძელება,<br>• ეფექტურობის გაუმჯობესების, კლიმატისადმი მედეგობის და ადაპტაციის გაძლიერების მხარდაჭერა ენერგოგენერაციის, გადაცემის და დისტრიბუციის ინფრასტრუქტურაში. | • დაზოგილი პირველადი ენერგია (გჯ/წ.)<br>• ნაგავსაყრელებზე გადაყრილი მყარი ნარჩენები (ტონა/წ.)<br>• პარტნიორი საფინანსო ორგანიზაციების მიერ EBRD -ის ფინანსების მხარდაჭერით გაცემული GEFF/SEFF სესხების რაოდენობა/ მოცულობა |
| მწვანე გარდაქმნის მხარდამჭერი მმართველობის განმტკიცებული პრაქტიკა | • მდგრადი მუნიციპალური ინვესტიციების მხარდაჭერა დაფინანსებისა და პოლიტიკური ჩართულობის გზით, რაც, სხვა ასპექტებთან ერთად, მოიცავს საუკეთესო მუნიციპალურ პრაქტიკას გენდერულად თანასწორ და ინკლუზიურ დიზაინთან, ჭკვიან და მწვანე გადაწყვეტებთან დაკავშირებით. მწვანე ქალაქების პროგრამის ხელშეწყობა, საჭიროებისამებრ.<br>• სახელმწიფო საწარმოების, მათ შორის, მუნიციპალური კომპანიების და ინფრასტრუქტურის ოპერატორების გამწვანების წახალისება.<br>• ნარჩენების დაცალკევებული შეგროვების, ხელახლა გამოყენებისა და რეციკლირების, ასევე, ნარჩენების მართვისადმი წრიული ეკონომიკის მიდგომის მხარდაჭერა.<br>• მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მხარდაჭერა.<br>• კლიმატის გაძლიერებული კორპორატიული მმართველობის მხარდაჭერა. | • იმ გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმების ამ მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმების რაოდენობა, რომლებიც განხორციელდა, როგორც მიზნობრივი |

**ზემოქმედების ინდიკატორი:** ელექტროენერგიის წარმოება განახლებადი წყაროებიდან *(მთლიანის %, მსოფლიო ბანკი)*
მმართველობის ეფექტიანობა (მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები)

PUBLIC

# 6. EBRD-ის ბიზნესის სფეროებში საერთაშორისო პარტნიორების ურთიერთშევსების მონაცემები

დოკუმენტის პროექტი

European Bank
for Reconstruction and Development

**EBRD ბიზნესის სფეროები**

| | | სექტორები | | | | | | | | | ურთიერთგადამკვეთი თემები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მრეწველობა, კომერცია და აგრობიზნესი | | | | | მდგრადი ინფრასტრუქტურა | | საფინანსო ორგანიზაციები | | სტრატეგიული ინიციატივები | | | |
| საორიენტაციო საშუალო წლიური ინვესტიციები/ გრანტები (მლნ. ევრო, 2016-2020) | | აგრობიზნესი | წარმოება და სერვისები | ქონება და ტურიზმი | TMT | ბუნებრივი რესურსები | ელექტროენერგია | ინფრასტრუქტურა | სამანგო მომსახურება | არასაბანკო საფინანსო ორგანიზაციები | მწვანე ეკონომიკა | ინკლუზია და სქესი | ადგილობრივი ვალუტა და კაპიტალის ბაზრები | მცირე ბიზნესი |
| ADB * | 308 | €P | | | | | €P | €P | € | | | €P | P | |
| EIB | 270 | € | | | | | € | € | € | | | | | € |
| AFD ** | 203 | | | | | | €P | | | | | €P | | €P |
| KfW | 188 | | | | | | €P | €P | | | | €P | | |
| World Bank | 123 | €P | | €P | €P | | | € | | | P | €P | | |
| EU | 120 | €P | €P | | | | | € | | | € | € | €P | €P |
| USAID | 47 | € | | | | | | € | | | | € | P | €P |
| IFC | 47 | | € | | | | P | | € | € | P | | | € |
| AIIB | 45 | | | | | | € | € | € | | | | | € |
| BSTDB | 32 | | | | | | € | | € | | | | | € |
| EBRD | 300 | € | €P | €P | € | P | € | € | € | € | €P | €P | €P | €P |

| | | | |
|---|---|---|---|
| € | მნიშვნელოვანი ინვესტიციების სფერო | ● | აქცენტი უმეტესწილად კერძო სექტორზე |
| P | მნიშვნელოვანი პოლიტიკური ჩართულობის სფერო | ○ | აქცენტი უმეტესქილად სახელმწიფო სექტორზე |

## თანამშრომლობის პოტენციური სფეროები

### კონკურენტუნარიანი

- ევროკავშირთან თანამშრომლობა ციფრულ ფორმატზე გადასვლაში, SME-ების ჩათვლით, RE4RM პროგრამის საშუალებით.
- უწყვეტი მხარდაჭერა ინვესტორთა საბჭოს, სხვა დონორებთან და IFI-ებთან ერთად, რათა საქართველოში გაუმჯობესდეს საინვესტიციო კლიმატი

### მწვანე

- მწვანე პროექტების დაფინანსება E5P-თან და მწვანე კლიმატის ფონდთან ერთად, მათ შორის, მწვანე ტრანსპორტში.
- მუშაობა ევროკავშირთან და KfW-სთან ენერგოეფექტურობის საკითხებზე.

### ინტეგრირებული

- თანამშრომლობა ევროკავშირთან, EIB-სთან და ADB-სთან ინვესტიციებზე ინფრასტრუქტურასა და ენერგეტიკაში.
- თანამშრომლობა ევროკავშირთან ვაჭრობის და DCFTA-ს ჩარჩოებში უფრო მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით.

### მედეგი

- კოვიდ-19-ზე რეაგირების ღონისძიებების შესაბამისობა სხვა, ადგილობრივ დონეზე აქტიურ IFI-ებთან.

### კარგი მმართველობის მქონე

- SOE რეფორმის მხარდაჭერა IMF, WB, ADB და KfW-სთან თანამშრომლობით.

*შენიშვნა: IFI მონაცემები ეფუძნება საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს (გარდა ბიუჯეტის დაფინანსებისა), და IFI-ების მნიშვნელოვანი ინვესტიციები განისაზღვრება, როგორც ინვესტიციები, რომლებიც 5%-ით აღემატება 2016-2020 წ.წ. პერიოდში ხელმოწერილ ინვესტიციებს. * სუვერენული პროექტების 2016-2019 წ.წ. მოცულობა მხოლოდ მონაცემთა გამყლავნების შეზღუდვების გამო. ** მხოლოდ 2017-2018 წ.წ. პროექტები*

# 7. განხორციელების რისკები, გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგები



| სტრატეგიის განხორციელების რისკები | ალბათობა | ზემოქმედება |
|---|---|---|
| • ნელი აღდგენა კოვიდ-19-ის კრიზისის შემდგომ (განსაკუთრებით ტურიზმის სექტორში) საფრთხეს უქმნის კერძო სექტორის მდგრადობას | Medium | High |
| • შესაძლოა საფრთხე შეექმნას სახელმწიფო ვალის ხელმისაწვდომობას (ფასის მხრივ) და სტაბილურობას, თუ ადგილი ექნება შეზღუდულ ეკონომიკურ ზრდას და ვალუტის არასტაბილურობას. | Medium | Medium |
| • სირთულეები მმართველობაში გამოწვევას ქმნის, აფერხებს რეფორმებს და აუარესებს ბიზნეს გარემოს | Medium | Medium |
| • ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური პოლარიზაცია და რეგიონული უსაფრთხოების არამდგრადი სიტუაცია რისკის ქვეშ აყენებს პოლიტიკურ სტაბილურობას | Medium | Medium |
| • შეზღუდული სახელმწიფო ფისკალური სივრცე და/ან შეზღუდული კერძო ინტერესი ინფრასტრუქტურული ინვესტიციების დაფინანსებისადმი | Medium | Medium |
| • არასაკმარისი საგრანტო დაფინანსება და გრძელვადიანი დაფინანსება ადგილობრივ ვალუტაში კონკურენტუნარიანი პირობებით | Medium | Medium |

## გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგები

- **გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) ზემოქმედების შეფასება და მართვა**: უზრუნველყავით პროექტების და შესაბამისი მექანიზმების პირდაპირი, არაპირდაპირი, კუმულაციური და ტრანს-სასაზღვრო E&S ზემოქმედება სათანადოდ იქნას შეფასებული და შერბილებული. უზრუნველყავით ჯგუფების (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების) და მოწყლვადი ადამიანების იდენტიფიცირება, აგრეთვე, მათ მიწაზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე და საარსებო წყაროებზე ზემოქმედების შეფასება და შერბილება, შესასრულეთ EBRD-ის ESP მოთხოვნები. ორივე პროექტში და სტრატეგიულ E&S შეფასებებში, ESMS და კონტრაქტორების მართვაში გაითვალისწინეთ შესაძლებლობების გაძლიერება. ამ აქტივობების მხარდასაჭერად შესაძლოა საჭირო გახდეს TC თანხები.
- **შრომა და სამუშაო პირობები**: უზრუნველყავით, რომ კლიენტების HR პოლიტიკა და შრომის პრაქტიკა შეესაბამებოდეს EBRD-ის მოთხოვნებს, განსაკუთრებით, რაც შეეხება შრომის პირობებს; კონტრაქტორის მართვას და მოწოდების სისტემებს. გენდერულ ნიადაგზე ძალადობისა და შევიწროვების საკითხებისა და შრომის ინსპექციის შესაძლებლობების გაძლიერებისთვის, რათა თანმიმდევრულად გამოიყენოს შრომის კანონმდებლობა, შესაძლოა საჭირო გახდეს TC მხარდაჭერა.
- **რესურსების ეფექტური გამოყენება და დაბინძურების პრევენცია და კონტროლი**: უზრუნველყავით ალტერნატივების განხილვა იმ ინვესტიციების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც ხელს შეუწყობს გადასვლას დაბალნახშირბადიან და რესურს-ეფექტურ ეკონომიკაზე, გააძლიერებს მედეგობას კლიმატის ცვლილებისადმი და ხელს შეუწყობს წრიულ ეკონომიკას.
- **ჯანმრთელობა და უსაფრთხოება**: გააუმჯობესეთ H&S სტანდარტები ყველა სექტორში. პრიორიტეტული საკითხებია მშენებლობის, გზებისა და სერვისების უსაფრთხოება და შესაძლოა საჭირო გახდეს ურთიერთობა კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
- **მიწის შესყიდვა, იძულებითი განსახლება და ეკონომიკური გადაადგილება**: უზრუნველყავით, რომ ნებისმიერი პროექტი, რომელიც მოითხოვს მიწის შესყიდვას, აკმაყოფილებს ბანკის მოთხოვნებს კომპენსაციასა და საარსებო წყაროს აღდგენასთან დაკავშირებით; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არაოფიციალურ მიწათმოსარგებლეებს, მოწყლვად ჯგუფებს და მონიტორინგის უზრუნველყოფას.
- **ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა**: სენსიტიურ ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტებისთვის უზრუნველყავით ბიომრავალფეროვნების საიმედო შეფასებების ჩატარება, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ზემოქმედება მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე ბიომრავალფეროვნებაზე და შენარჩუნდეს დაცული ტერიტორიების სიმრთელე. ამ აქტივობების დასაფინანსებლად შესაძლოა საჭირო გახდეს TC თანხები.
- **კულტურული მემკვიდრეობა:** უზრუნველყავით, რომ კლიენტებს გააჩნდეთ სათანადო შესაძლებლობები, რათა განახორციელონ ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის მართვა PR8-ის შესაბამისად; TC პროექტების საშუალებით მხარდაჭერა გაუწიეთ სუვერენულ კლიენტებს, რათა შასრულონ საერთაშორისო კონვენციებით აღებული ვალდებულებები; გაძლიერეთ კლიენტების შესაძლებლობები არამატერიალური კულტურის მემკვიდრეობის მართვაში.
- **ფინანსური შუამავლები**: უზრუნველყავით, რომ FI პარტნიორებს გააჩნდეთ სათანადო E&S შესაძლებლობები და რისკები მართვის პროცედურები.
- **დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა**: მხარდაჭერა გაუწიეთ კლიენტებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური გასაჯაროება და კონსულტაციები პროექტის პერიოდში.
- **მონიტორინგი და ზედამხედველობა**: იმუშავეთ კლიენტებთან, რათა განახორციელოთ E&S ღონისძიებების შესრულების მონიტორინგი და მოაგვაროთ ბანკის პორტფელთან დაკავშირებული მემკვიდრეობის საკითხები.

High Medium Low

# 8. დონორთა მიერ თანადაფინანსების შეფასება



## 8.1. საჭიროებების შეფასება ქვეყნის სტრატეგიის ახალი პერიოდისთვის

ქვეყნის სტრატეგიის სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს დონორთა მიერ დაფინანსება, მათ შორის, შემდეგისთვის:

- მცირე ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურება კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და საერთაშორისო კავშირების განმტკიცებისთვის.
- კონცესიური დაფინანსება ტრანს-სასაზღვრო დაკავშირებულობის, სატრანსპორტო კავშირების ტურიზმის ხელშესაწყობად და ციფრული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.
- საკონსულტაციო მხარდაჭერა პირობით ვალდებულებაში მონაწილეობის და შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით, რათა შესაძლებელი გახდეს წვდომა ფინანსებზე იმ სეგმენტებში, რომლებიც მომსახურების ნაკლებობას განიცდიან (მაგ. გენდერული ნიშნით, ახალგაზრდობა, ადგილობრივი SME - ები).
- ტექნიკური დახმარება სამუშაო ძალაში თანასწორ შესაძლებლობებთან, უნარ-ჩვევების განვითარებასთან და გენდერულ დისბალანსთან დაკავშირებით და პოლიტიკური დიალოგისთვის, რათა განმტკიცდეს მმართველობა მწვანე გარდაქმნისკენ მიმავალ გზაზე.
- საკანონმდებლო და სამართლებრივი რეფორმები ბიზნეს-კლიმატის გასაუმჯობესებლად, კაპიტალის ბაზრების განვითარების და ეკონომიკის მედეგობის და კოვიდ-19-ის შემდგომი აღდგენის მხარდაჭერის გაგრძელება.
- კონცესიური დაფინანსება მწვანე გარდაქმნის, განახლებადი ელექტროენერგიის სიმძლავრის, მაღალხარისხიანი ინფრასტრუქტურის (მაგ. წყალმომარაგება, ჩამდინარე წყლები, ენერგეტიკა) მხარდასაჭერად.

## 8.2. დონორთა დაფინანსების პოტენციური წყაროები

- **ევროკავშირის** დაფინანსება ერთობლივად განსაზღვრული პრიორიტეტული ასპექტებისთვის, როგორიცაა დაბალანსებული ტერიტორიული განვითარება, გამწვანება და ჯანმრთელობა. პოტენციური დაფინანსების შესაძლებლობები რეგიონულ დონეზე შეიძლება შესწავლილ იქნას ისეთ სფეროებში, როგორიცაა წვდომა დაფინანსებაზე, გაციფრულება და გამწვანება.
- **მწვანე კლიმატის ფონდის (GCF)** დაფინანსებული **მწვანე ქალაქების პროგრამის** ნაწილის სახით, შეიძლება გამოყოფილ იქნას დაფინანსება მუნიციპალურ ინფრასტრუქტურაში, ტრანსპორტში, შენობებში, მრეწველობის დარგებში, ენერგეტიკაში, წყალმომარაგებაში, მყარ ნარჩენებში და მიწათსარგებლობაში ტექნიკური დახმარებისა და ინვესტიციების მხარდასაჭერად.
- შესაძლოა ასევე შესწავლილ იქნას დამატებითი დაფინანსების შესაძლებლობები **მულტიდონორული ანგარიშებიდან.** პოტენციური დაფინანსების წყაროებს შორისაა **გარდაქმნის ადრეულ ეტაპზე მყოფი ქვეყნების (ETC) ფონდი** და **მცირე ბიზნესზე ზემოქმედების ფონდი (SBIF)** რომელიც განკუთვნილია SME განვითარებისა და ზრდისთვის. საქართველოში მდგრადი ინფრასტრუქტურის პროექტების გრანტებით დაფინანსების კიდევ ერთი წყაროა **E5P (აღმოსავლეთი ევროპის ენერგოეფექტურობის და გარემოს დაცვის პარტნიორობა)**.
- კვლავ მოხდება **ორმხრივი დონორების** მხრიდან მხარდაჭერის ძიება.
- **EBRD აქციონერთა სპეციალური ფონდი (SSF)** მხარს უჭერს EBRD-ის პრიორიტეტებს საქართველოში, როგორც მითითებულია ქვეყნის სტრატეგიაში. SSF აქცენტს აკეთებს EBRD-ის სტრატეგიული და კაპიტალური ჩარჩოების განხორციელებაზე, მისი ურთიერთგადამკვეთი თემატური სფეროების ჩათვლით.

### ფინანსური ხელმისაწვდომობის შერჩეული ინდიკატორები

| | | *EBRD-ის რეგონული პროცენტული რანგი*[1] |
|---|---|---|
| მშპ ერთ სულზე (PPP, მიმდიანრე. აშშ $)[2] | 15,656 | 46-ე |
| ODA ქვეყანა[3] | დიახ | N/A |
| ODA, როგორც მთლიანი ეროვნული შემოსავლის წილი (%)[2] | 2.9 | 68-ე |
| ODA ერთ სულზე (US$ - მიმდინარე ფასები)[2] | 134 | 76-ე |

### დონორთა მიერ დაფინანსება წინა სტრატეგიის პერიოდში (მლნ ევრო)[4]




### გრანტების გამოყენება 2018-20 წ.წ. [5]




1. *მარტივი პროცენტული რანგი, მითითებული, როგორც წილი EBRD ქვეყნებისა, რომლებიც საქართველოზე ქვემოთ არიან წარმოდგენილი.*
2. *წყარო: WDI (2019)*
3. *წყარო: OECD (2020)*
4. *2016-2020 წ.წ. TC მონაცემები ეფუძნება პროექტის დონეზე გამოყოფილ მიზნობრივ საშუალებებს. თანადაფინანსების გრანტების თანხები ეფუძნება კლიენტების ხელმოწერებს.*
5. *2018, 2019 და 2020 წ.წ. მიზნობრივად გამოყოფილ (TC გრანტებისთვის) ან კლიენტებთან ხელმოწერილ (თანადაფინანსების გრანტებისთვის) პირველად გარდამავალ გრანტებს.*

PUBLIC

დოკუმენტის პროექტი

# დანართები

European Bank
for Reconstruction and Development

# დანართი 1 – პოლიტიკური შეფასება 1-ლი მუხლის კონტექსტში



*ქვეყნის წინა სტრატეგიის პერიოდში საქართველო განაგრძობდა ბანკის სადამფუძნებლო ხელშეკრულების 1-ლ მუხლში მითითებული პოლიტიკური პრინციპების განხორციელებას. თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციით, მნიშვნელოვან გამოწვევებად დარჩა პოლიტიკური პოლარიზაციის მოგვარება, საარჩევნო რეფორმის გატარება, კანონის უზენაესობის განმტკიცება და მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და ანგარიშგების უზრუნველყოფა.*

2021 წ. აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის 30 წ. იუბილე. 2017-2018 წ.წ. საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად ქვეყნის პოლიტიკური სისტემა განვითარდა საპარლამენტო მოდელის მიმართულებით. თუმცა, პოლიტიკური პოლარიზაციის გაღრმავებამ შექმნა საპარლამენტო პლურალიზმზე უარყოფითი ზემოქმედების საფრთხე. მმართველმა პარტიამ - საქართველოს ოცნებამ - მოიგო ბოლო საპარლამენტო არჩევნები 2020 წ. ოქტომბერ-ნოემბერში და გახდა პირველი პოლიტიკური პარტია საქართველოში, რომელიც მესამე ვადით მოვიდა და გააფართოვა ერთპარტიული მმართველობა. რვა ოპოზიციურმა პარტიამ, რომლებმაც გადალახეს საჭირო ზღვარი, უნდობლობა გამოუცხადეს არჩევნების შედეგებს და უარი განაცხადეს ახალ პარლამენტში შესვლაზე, მოუწოდებდნენ რა ახალი არჩევნების ჩატარებისკენ. წარმოიშვა რისკი, რომ ექვსთვიანი ჩიხური პოლიტიკური სიტუაცია საფრთხეს შეუქმნიდა ქვეყნის დემოკრატიას და სტაბილურობას.[1]

მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდის შემდგომ, რომელშიც ევროკავშირი შუამავლობდა აშშ-ის მხარდაჭერით, 2021 წ. 19 აპრილს მხარეებს შორის მიღწეულ იქნა კომპრომისული შეთანხმება „საქართველოს სამომავლო გზა“. სრულად და კარგი სულისკვეთებით განხორციელების შემთხვევაში, ხელშეკრულებამ შესაძლოა საფუძველი ჩაუყაროს პოლიტიკური პოლარიზაციის ეტაპობრივ დაძლევას და წინსვლას თანამედროვე, დემოკრატიული ევროპული სახელმწიფოს შექმნის გზაზე. შეთანხმება ითვალისწინებს უფლებამოსილებათა დანაწილებას კანონმდებლობაში ორგანოში და გვიჩვენებს შეთანხმებულ და ინკლუზიურ გზას დემოკრატიული რეფორმების დღის წესრიგისკენ, განსაკუთრებით, კანონის უზენაესობის განმტკიცების, მართლმსაჯულების გამჭვირვალობის და ანგარიშგების უზრუნველყოფის, და საარჩევნო გარემოს გათანაბრების თვალსაზრისით, რაც უმთავრეს ამოცანებს და გამოწვევებს წარმოადგენს. თუმცა, მმართველმა პარტიამ, საქართველოს ოცნებამ, ხელმოწერიდან მხოლოდ სამი თვის შემდეგ, იგი „გაუქმებულად“ გამოაცხადა, მიზეზად მოიყვანა რა ოპოზიციური პარტიის - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის უარი, რომ მიერთებოდა ხელშეკრულებას (მოგვიანებით ენმ-მ მოაწერა მას ხელი). მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ხელშეკრულების რიგი დებულებები შესრულდა, მისმა გაუქმებამ და კვლავ არსებულმა პოლიტიკურმა პოლარიზაციამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოს ერთგულება რეფორმებისკენ მიმავალი ინკლუზიური გზისადმი, ხელახლა გააღვივა რა პოლიტიკური დაძაბულობა და შექმნა პოლიტიკურ კრიზისში დაბრუნების რისკი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ქვეყნის დემოკრატიულ მომავალს.

მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარე ბოლოდროინდელი მოვლენებისა, როლებიც ევროკავშირის შეშფოთებას იწვევს, საქართველო, ქვეყნის სტრატეგიის წინა პერიოდში 2014 წ. ევროკაშირთან ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ერთგული დარჩა, მათ შორის, კოვიდ-19-ის გამოწვევებით აღსავსე პერიოდში. ევროპული ინტეგრაცია სტრატეგიული პრიორიტეტია, რომელიც ფართო მხარდაჭერით სარგებლობს საზოგადოების მხრიდან.

საქართველოსთვის უმთავრეს პრიორიტეტად და გამოწვევად რჩება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორები მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს სუვერენულობას და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

**თავისუფალი არჩევნები და წარმომადგენლობითი მთავრობა**

*თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული არჩევნები*

საქართველოს კონსტიტუცია იძლევა ამომრჩევლის ნებასურვილის თავისუფლად გამოხატვის გარანტიას და უფლებას აძლევს მოქალაქეებს, რომ შეცვალონ მთავრობა პერიოდული არჩევნების გზით, საყოველთაო ხმის უფლების საფუძველზე. ქვეყნის სტრატეგიის ბოლო პერიოდში საქართველომ ჩაატარა როგორც საპრეზიდენტო, ასევე საპარლამენტო არჩევნები.

[1] საგარეო ურთიერთობათა ევროპული სერვისი (EEAS): სპიკერის განცხადებები საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენების შესახებ, ბრიუსელი, 2021 წ. 18 თებერვალი და 25 თებერვალი; PACE: მონიტორინგის თანა-მომხ[illegible]ების განცხადება საქართველოსთან დაკავშირებით, 2021 წ. 24 თებერვალი.

PUBLIC

# დანართი 1 – პოლიტიკური შეფასება 1-ლი მუხლის კონტექსტში



საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა 2018 წ. ოქტომბერ-ნოემბერში, ორ რაუნდად. ეს იყო პირველი პირდაპირი საპრეზიდენტო კენჭისყრა. არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით, რომელსაც OSCE/ODIHR ხელმძღვანელობდა, „არჩევნები იყო კონკურენტული“ და „კარგად ადმინისტრირებული“ და „კანდიდატებს თავისუფლად შეეძლოთ კამპანიის ჩატარება“, თუმცა „ერთი მხარე სარგებლობდა გადაჭარბებული უპირატესობით და კამპანიის ნეგატიურმა ხასიათზე ორივე მხრიდან საფრთხის ქვეშ დააყენა პროცესი.“ „კამპანიას აფუჭებდა მკვეთრი პოლემიკა.“[2]

ბოლო საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა 2020 წ. ოქტომბერ-ნოემბერში, პოლიტიკური დაძაბულობისა და კოვიდ-19 პანდემიისგან გამომდინარე ეკონომიკური და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გამოწვევების ფონზე. ეს იყო უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნები, ჩატარებული შერეული საარჩევნო სისტემით (სრულად პროპორციული სისტემა ამოქმედდება მომავალი არჩევნებისთვის), რომელიც არჩევნებამდე დაექვემდებარა რევიზიას: პარლამენტის 120 წევრი პროპორციულად იქნა არჩეული ქვეყნის მასშტაბით (ერთი პროცენტით შემცირებული ზღვრის პირობებში), ხოლო 30 არჩეულ იქნა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში. საგანგებო პანდემიური გარემოებების და მგზავრობის შეზღუდვების გამო OSCE/ODIHR-მა გამოგზავნა არჩევნების შემცირებული სადამკვირვებლო მისია (LEOM), რათა დაკვირვებოდა არჩევნების პირველ რაუნდს 2020 წ. 31 ოქტომბერს. საერთაშორისო დამკვირვებლებმა დაასკვნეს, რომ არჩევნები „იყო კონკურენტული და, მთლიანობაში, ფუნდამენტური თავისუფლებები დაცული იყო“. თუმცა დამკვირვებლებმა დაადგინეს, რომ „ ფართოდ გავრცელებულმა განცხადებებმა ამომრჩევლებზე ზეწოლის შესახებ და მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის საზღვრის და ბუნდოვნებამ შეამცირა საზოგადოების რწმენა პროცესის ზოგიერთ ასპექტებთან მიმართებაში.“[3]

შესაბამისმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ხაზგასმით აღნიშნეს შემდგომი საარჩევნო რეფორმის აუცილებლობა ინკლუზიური დიალოგის გზით.[4] 19 აპრილის პოლიტიკური ხელშეკრულების დებულებების განსახორციელებლად, რომელიც, სხვა ასპექტებთან ერთად, მოიცავს ამბიციურ საარჩევნო რეფორმას, საქართველოს პარლამენტმა, 2021 წ. ივნისში მიიღო საარჩევნო კოდექსის ცვლილებები, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას, რომ 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნები, წინა არჩევნებთან შედარებით, უკეთესად ჩატარდეს.

მომავალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება დაგეგმილია 2023 წლის შემოდგომისთვის. იმავდროულად, 2021 წ. 19 აპრილის კომპრომისული პოლიტიკური ხელშეკრულება (რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მმართველი პარტიის - ქართული ოცნების გამოსვლის შემდეგ) ითვალისწინებს, რომ „თუ ქართული ოცნების პარტია 2021 წ. ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე 43%-ზე ნაკლებ ნამდვილ პროპორციულ ხმას მიიღებს, 2022 წ. ორგანიზებულ უნდა იქნას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.“

*ძალაუფლების დაყოფა და შეკავებისა და გაწონასწორების ეფექტური სისტემა*

კონსტიტუცია საქართველოს განსაზღვრავს, როგორც სამართლებრივ სახელმწიფოს და ითვალისწინებს ძალაუფლების დაყოფის პრინციპს.

2017 წ. და 2018 წ. საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ, საქართველოს პოლიტიკური სისტემა გარდაიქმნა საპარლამენტო რესპუბლიკად. პრეზიდენტის - რომელიც სახელმწიფოს ხელმძღვანელს წარმოადგენს და ვინც, 2024 წლიდან, 5 წლის ვადით იქნება არჩეული საარჩევნო კოლეგიის მიერ - უფლებამოსილებები შემცირდა, ხოლო პარლამენტის, როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს და მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ძალაუფლების უმაღლესი ორგანოს სტატუსი და უფლებამოსილება გაძლიერდა. ვენეციის კომისიამ საკონსტიტუციო რეფორმა ზოგადად შეაფასა, როგორც „დადებითი ნაბიჯი ქვეყნის კონსტიტუციური წესრიგის კონსოლიდაციისა და გაუმჯობესებისკენ, მათ შორის, პარლამენტის უფლებამოსილებათა შემდგომი განმტკიცებისკენ.”[5]

[2] OSCE/ODIHR საარჩევნო სადამკვირვებლო მისია (EOM): საქართველო, საპრეზიდენტო არჩევნები 2018 წ. ოქტომბერი და 2018 წ. ნოემბერი, დასკვნითი ანგარიში, ვარშავა, 2019 წ. 28 თებერვალი, გვ.2

[3] OSCE/ODIHR შემცირებული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია (LEOM): საქართველო, საპარლამენტო არჩევნები, 2020 წ. 31 ოქტომბერი, დასკვნითი ანგარიში, ვარშავა, 2021 წ. 5 მარტი, გვ. 2 2

[4] OSCE/ODIHR LEOM: საპარლამენტო არჩევნები, დასკვნითი ანგარიში, გვ. 34-37; EU: პრეს-რელიზი საქართველოში ასოცირების ხელშეკრულების ანგარიშთან დაკავშირებით, ბრიუსელი, 2021 წ. 9 თებერვალი; EU-საქართველოს ასოცირების საბჭო: ერთობლივი პრეს-რელიზი, ბრიუსელი, 2021 წ. 16 მარტი.

[5] ვენეციის კომისია (VC): მოსაზრებები 2017 წ. 15 დეკემბერს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით, სტრასბურგი, 2018 წ. 19 მარტი; და მოსაზრებები გადასინჯული კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით, სტრასბურგი, 2017 წ. 19 ივნისი.

PUBLIC

2021 წ. 19 აპრილის პოლიტიკურ ხელშეკრულებაში კანონმდებლობაში ძალაუფლების განაწილების დებულების მიზანს წარმოადგენდა დამატებითი საფუძვლის შექმნა პარლამენტის, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დინამიური და მიზანმიმართული ფუნქციონირებისთვის. ამ შეთანხმების მიღწევის ხელშეწყობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პრეზიდენტმა.

ეფექტური ძალაუფლება არჩეული სახელმწიფო მოხელეების სამართავად

საქართველოში არჩეულ სახელმწიფო მოხელეებს ეფექტური ძალაუფლება აქვთ, რომ მართონ შეზღუდვების გარეშე.

სამხედრო სფერო ექვემდებარება სამოქალაქო კონტროლს და არ მონაწილეობს ქვეყნის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მაღალია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა საზოგადოებაზე და პოლიტიკაზე, რაც ასახავს ეკლესიის განსაკუთრებულ როლს და სტატუსს ქვეყანაში.

**სამოქალაქო საზოგადოება, მედია და მონაწილეობა**

სამოქალაქო საზოგადოების მასშტაბი და დამოუკიდებლობა

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება დინამიური, დამოუკიდებელი და აქტიურია. იგი ძლიერ მოთამაშეს წარმოადგენს რეფორმების ხელშეწყობის, დემოკრატიული განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის საქმეში. სამოქალაქო საზოგადოების წამყვანი ორგანიზაციები (CSOs) ხშირად სამოქალაქო პოზიციას იკავებენ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით, ახდენენ რა გავლენას საზოგადოების იდეებზე. ოფიციალური მონაცემებით, 2019 წ. საქართველოში რეგისტრირებული იყო თითქმის 28000 CSO, თუმცა მათგან მხოლოდ დაახლოებით 3800 იყო აქტიური. CSO -ები, ზოგადად, თავისუფლად მოქმედებენ: არ არსებობს მათი საქმიანობის სამართლებრივი ან ადმინისტრაციული ბარიერები, თუმცა მათ შორის ყველაზე აქტიურები პერიოდულად შევიწროვებაზე და დეზინფორმაციის კამპანიებზე ჩიოდნენ.6 საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების უდიდეს პრობლემას კვლავაც წარმოადგენს სუსტი ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა, განსაკუთრებით მცირე და ნაკლები გამოცდილების მქონე ორგანიზაციებისთვის. ადგილობრივი CSO -ების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენდნენ უცხოური დონორული ფონდები. ევროპის პარლამენტი მოუწოდებდა სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის მეტი საერთაშორისო და ეროვნული მხარდაჭერისკენ, განსაკუთრებით ფინანსური თვალსაზრისით.7

ცენზურის გარეშე მოქმედი მედიის დამოუკიდებლობა და პლურალიზმი

აზრის გამოხატვისა და მედიის თავისუფლება დაცულია კონსტიტუციით და კანონით, ხოლო ცენზურა აკრძალულია.

საქართველოს მედიის ლანდშაფტი კვლავაც პლურალისტური და კონკურენტულია, თუმცა, ასევე ძლიერ პოლარიზებული, პოლიტიკური მიმართულებებისა და ბიზნეს-ინტერესების თვალსაზრისით. OSCE/ODIHR-ის ინფორმაციით, კერძო მაუწყებლები „აშკარად პოლიტიკური აქტივისტებივით იქცეოდნენ“ ბოლო საპარლამენტო არჩევნების დროს. შეზღუდული სარეკლამო ბაზარი კიდევ უფრო აძლიერებს მედიის დამოკიდებულებას მათ მფლობელზე.8

ტელევიზია ინფორმაციის უმთავრესი წყაროს როლს ასრულებს მოსახლეობის დუდუ უმრავლესობისთვის. ვენეციის კომისიამ მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, რათა გადაეხედა ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში და მაუწყებლობის შესახებ კანონში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებებისთვის, რომლებსაც, როგორც მიიჩნევა, „შორს მიმავალი შედეგები გააჩნია საკუთრების უფლებისა და მედიის თავისუფლების თვალსაზრისით.”9

[6] საერთაშორისო გამჭვირვალობა: 2020 წ. კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI), 2021 წ. 28 იანვარი.
[7] ევროპის პარლამენტი (EP): დადგენილება საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, ბრიუსელი, 2020 წ. 16 სექტემბერი, პ. 10.
[8] OSCE/ODIHR LEOM: საპარლამენტო არჩევნები, დასკვნითი ანგარიში, გვ. 21; EU: ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ანგარიშში, 2021 წ. 5 თებერვალი, გვ. 3.
[9] ევროპის საბჭო: ვენეციის კომისიისა და ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ერთობლივი მოსაზრება ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში და მაუწყებლობის შესახებ კანონში ბოლო დროს შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით, სტრასბურგი, 2021 წ. 19-20 მარტი.

*სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის მრავალრიცხოვანი არხები*

საქართველოს მოქალაქეები სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის მრავალრიცხოვანი არხებით სარგებლობენ. CSO-ები კვლავ აქტიურნი იყვნენ მთავრობის საქმიანობის მონიტორინგის და სახელმწიფო დაწესებულებებისგან ანგარიშგების მოთხოვნის კუთხით. CSO-ების ადვოკატირების ღონისძიებები ხშირად განაპირობებდა სახელმწიფოს დღის წესრიგის ფორმირებას. შესაძლებელია მთავრობასთან და პარლამენტთან ოფიციალური ურთიერთობების მექანიზმები შემდგომი განმტკიცება.[10] ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა 48 პოლიტიკური პარტია, რაც ფართო არჩევანს აძლევდა ამომრჩევლებს.

*პოლიტიკური პარტიების შექმნის თავისუფლება და ორგანიზებული ოპოზიციის არსებობა*

საქართველოში მრავალპარტიული სისტემაა. კონსტიტუცია საქართველოს მოქალაქეებს აძლევს პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბების და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლების გარანტიას. თავისუფლება პრაქტიკაშიც ვლინდება. საპარლამენტო წარმომადგენლობის ზღვრის ერთი პროცენტით შემცირებამ აამაღლა წინასაარჩევნო გარემოს კონკურენტუნარიანობა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, როდესაც პოლიტიკურ არენაზე მრავალი ახალი პარტია გამოვიდა. პარლამენტში შესასვლელად საჭირო ზღვარი გადალახა რვა ოპოზიციურმა პარტიამ, მათ შორის ყველაზე მსხვილმა - ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ (UNM).

**კანონის უზენაესობა და წვდომა მართლმსაჯულებაზე**

*კანონის უზენაესობა*

ქვეყნის უზენაეს კანონს წარმოადგენს კონსტიტუცია. არსებობს კანონის უზენაესობისთვის საჭირო საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური მექანიზმები. კონსტიტუცია და კანონი ასევე კრძალავს თვითნებურ დაკავებას და პატიმრობას. სამართლიანი სასამართლოს უფლება უზრუნველყოფილია კანონით, თუმცა დანარჩენი საჭიროებს მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და ანგარიშგების განმტკიცებას, ხოლო სამართლებრივი დევნა კვლავ კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

*მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა*

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია ითვალისწინებს მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობას, პრაქტიკაში აღქმული გარე ზემოქმედება და პოლიტიზირებული მართლმსაჯულების აღქმა კვლავ პრობლემად რჩება. ამგვარად, უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და ანგარიშგების უზრუნველყოფა.[11]

2017 წ. და 2019 წ. მიღებულ იქნა სასამართლო სისტემის რეფორმების ორი პაკეტი, რომლებიც ზრდიდა მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშგების და ეფექტურობის უზრუნველყოფის მექანიზმებს.[12] მიუხედავად ამისა, საჭიროა შემდგომი სასამართლო რეფორმა, რათა გაუმჯობესდეს მართლმსაჯულების სისტემა, მათ შორის, გამჭვირვალობა და დანიშნულ მოსამართლეთა არჩევა დამსახურების საფუძველზე, პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოდან დაწყებული და უზენაესი სასამართლოთი დამთავრებული.

[10] EU: ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ანგარიში, 2021 წ. 5 თებერვალი, გვ. 4; EP: დადგენილება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებით, 2020 წ. 16 სექტემბერი, პ. 10.
[11] ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ანგარიში, 2021 წ. 5 თებერვალი, გვ. 1 და 7; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო (HRC): ნაკრები ინფორმაცია საქართველოს შესახებ, გაეროს ადამიანთა უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისის ანგარიში (OHCHR), 2020 წ. 12 ნოემბერი, გვ. 4.
[12] UN HRC: საქართველო, ეროვნული პროექტი, 2020 წ. 14 დეკემბერი.

# დანართი 1 – პოლიტიკური შეფასება 1-ლი მუხლის კონტექსტში



ევროკავშირმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და საქართველოს პარტნიორებმა არაერთხელ აღნიშნეს შეშფოთება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში არსებული ხარვეზების გამო, ხაზგასმით აღნიშნეს რა, რომ ის უნდა ყოფილიყო ინკლუზიური პროცესი, და სრულ შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ევროპის კომისიის რეკომენდაციებთან.[13] 2021 წ. 19 აპრილის პოლიტიკური ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ უზენაეს სასამართლოში დანიშვნები უნდა შეჩერებულიყო ევროპული სტანდარტების შესაბამისი ახალი კანონმდებლობის ძალაში შესვლამდე. მიუხედავად ამისა, მმართველი პარტიის უმრავლესობამ საქართველოს პარლამენტში ცალმხრივად დაამტკიცა უზენაესი სასამართლოს ექვსი მოსამართლე 2021 წ. ივლისში, ამტკიცებდა რა, რომ ეს შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას. საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებმა ღრმა შეშფოთება გამოხატეს, შეაფასეს რა კენჭისყრა, როგორც საქართველოს ხელისუფლების მიერ დაკარგული შესაძლებლობა, რომ დაემტკიცებინა მისწრაფება მართლმსაჯულების ქმედითი და ყოვლისმომცველი რეფორმის განხორციელებისადმი“ და „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და საზოგადოების ნდობისთვის ზიანის მიყენების რისკის“ მატარებელი.[14]

საზოგადოების ნდობა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსადმი (უმაღლესი ზედამხედველი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია მართლმსაჯულების სისტემის რეგულირებაზე) კვლავ შედარებით დაბალია, და საჭიროა მისი  საფუძვლიანი რეფორმირება. [15]

*მთავრობისა და მოქალაქეების თანასწორი რეგულირება კანონით*

კონსტიტუცია იძლევა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის გარანტიას. თუმცა პრაქტიკაში ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასთან.

რაც შეეხება ბრალდების ფუნქციონირებას, 2018 წლის დეკემბერში ძალაში შევიდა ახალი კანონი პროკურატურის შესახებ, რომელმაც გააუმჯობესა გენერალური პროკურორის დანიშვნის და პროკურორების სამსახურში მიღების პროცედურები. შესრულების შესახებ ბოლო ანგარიშში GRECO-მ გააკეთა დასკვნა, რომ რეკომენდაციები მისი რეკომენდაციები გამჭვირვალე პროცედურების გათვალისწინებასთან დაკავშირებით დამაკმაყოფილებლად განხორციელდა.[16] მიუხედავად ამისა, გენერალური პროკურორის მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, შემდეგი გენერალური პროკურორის დანიშვნა გამჭვირვალედ, დამსახურების და არა პარტიული ინტერესების საფუძველზე და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, ასევე გამომძიებლებისა და პროკურორების ფუნქციების გამიჯვნა კვლავაც პროკურატურის რეფორმების ყურადღების ცენტრში უნდა დარჩეს.[17]

*ეფექტიანი პოლიტიკა და ინსტიტუციები კორუფციის პრევენციისთვის*

საქართველო საუკეთესო ქვეყანაა რეგიონში კორუფციის აღქმის კუთხით და წლების განმავლობაში მრავალი წარმატებული ინიციატივა გაატარა, რათა შეემუშავებინა და შეექმნა პოლიტიკა (ანტიკორუფციული სტრატეგია) და ინსტიტუციები (ეროვნული ანტიკორუფციული საბჭო) კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. საერთაშორისო გამჭვირვალობის (TI)შეფასებით საქართველოს 45-ე ადგილზეა 180 ქვეყანას შორის 2020 წ. კორუფციის აღქმის ინდექსებში: საქართველომ მიიღო 56/100 ქულა, იგივე, რაც 2019 წ., თუმცა 2018 წ.-ზე - 58/100 - დაბალი.

[13] OSCE/ODIHR: მესამე ანგარიში საქართველოში უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეების  ნომინაციასთან და დანიშვნასთან დაკავშირებით, ვარშავა, 2021 წ. 9 ივლისი; VC: საგანგებო მოსაზრება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით, სტრასბურგი, 2021 წ. 2 ივლისი; EEAS: სპიკერის განცხადება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით, ბრიუსელი, 2021 წ. 7 აპრილი; და  EU: ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ანგარიში, 2021 წ. 5 თებერვალი, გვ. 1 და 7.

[14] EEAS: სპიკერის განცხადება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით, ბრიუსელი, 2021 წ. 14 ივლისი; EU:  ევროსაბჭოს პრეზიდენტის განცხადება, თბილისი, 2021 წ. 19 ივლისი.

[15] EU: ასოცირების ხელშეკრულების შესრულების ანგარიში, 2021 წ. 5 თებერვალი, გვ. 1 და 7; PACE: მონიტორინგის თანა-მომხსენებლების განცხადება საქართველოსთან დაკავშირებით, 2021 წ. 8 ივნისი.

[16] GRECO:  შესაბამისობის მეორე ანგარიში საქართველოსთან დაკავშირებით - შეფასების მეოთხე რაუნდი, კორუფციის პრევენცია პარლამენტის წევრებთან, მოსამართლეებთან და პროკურორებთან მიმართებაში, სტრასბურგი, 2021 წ. 25 მარტი.

[17] EU: ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება, 2021 წ. 5 თებერვალი, გვ. 8.

ანგარიში აგრეთვე მიგვითითებს, რომ სამართალდამცავ ორგანოებზე პარტიული ინტერესების არასათანადო ზემოქმედების გამო მათ არ მიეცათ მაღალი დონის შესაძლო კორუფციის შემთხვევების გამოძიების შესაძლებლობა.[18] ანტი-კორუფციული იმპულსის კვლავ გასაღვივებლად საქართველომ, TI-ს მოსაზრებით, უნდა შექმნას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტო, თუმცა ასეთი სააგენტოს შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.[19]

შესაბამისობის ბოლო ანგარიშში, GRECO-მ დაასკვნა, რომ საქართველომ დამაკმაყოფილებლად შეასრულა მეოთხე რაუნდის შეფასების ანგარიშში მოცემული 16-დან 7 რეკომენდაცია. დარჩენილი რეკომენდაციებიდან, შვიდი შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო ორი არ შესრულდა, სახელდობრ, მოსამართლეთა იმუნიტეტის შეზღუდვის საჭიროებასა და აქტივების დეკლარირების რეჟიმის გამოყენების ფარგლების გაფართოების საჭიროებასთან დაკავშირებით.[20]

**სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები**

არის რა გაეროს, ევროსაბჭოს და OSCE-ს წევრი და ევროკავშირის ასოცირებული პარტნიორი, საქართველომ შეიმუშავა მტკიცე სამართლებრივი ბაზა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დასაცავად.

*სიტყვის, ინფორმაციის, რელიგიის, სინდისის, გადაადგილების, გაერთიანების და კერძო საკუთრების უფლება*

ტარდება ადამიანის უფლებათა სფეროში საქართველოს საქმიანობის შედეგების შეფასება გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მესამე ციკლის ფარგლებში, რომელიც ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. ეროვნულ ანგარიშში საქართველომ ხაზგასმით აღნიშნა როგორც ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის (2014-2020წ.წ.) და შესაბამისი სამოქმედო გეგმების (2016-2017 წ.წ. და 2018-2020 წ.წ.) მიღება, ასევე ადამიანთა უფლებების უწყებათშორისი საბჭოს მიერ გაწეული მუშაობა, რომელსაც სათავეში პრემიერ-მინისტრი უდგას და რომელიც ზედამხედველობას უწევს სამოქმედო გეგმების შესრულებას. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს ბოლო სხდომა მიესალმა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მიღწეულ წინსვლას.

სიტყვის, გაერთიანების, შეკრების, და სხვა უფლებები უმეტესწილად დაცულია. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, კერძოდ, 2019 წ. 20 ივნისის მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგების დროს მიტინგის მონაწილეთა, მათ შორის, ჟურნალისტების წინააღმდეგ, გამოყენებულ იქნა პოლიციური ძალა, მიაყენეს სერიოზული დაზიანებები, რამაც გამოიწვია შემდგომი დემონსტრაციები შემდეგ თვეებში.[21] მეორე შემთხვევაში, ხელისუფლებამ ვერ შეძლო დაეცვა ადამიანები, რომლებიც საკუთრი კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობდნენ, როდესაც, 2021 წ. 5 და 6 ივლისს, სამოქალაქო აქტივისტებზე და ჟურნალისტებზე, რომლებიც საპროტესტო აქციას აშუქებდნენ, ძალადობრივი შეტევა მიიტანეს კონტრ-დემონსტრანტებმა, რამაც ჩრდილი მიაყენა საქართველოს, როგორც ისეთი ქვეყნის იმიჯს, რომელიც იცავს ფუნდამენტურ უფლებებს და თავისუფლებებს და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს. [22]

*პოლიტიკური ინკლუზიურობა ქალებისთვის, ეთნიკური და სხვა უმცირესობებისთვის*

კონსტიტუციით, ქალები და ეთნიკური და სხვა უმცირესობები სარგებლობენ სრული პოლიტიკური უფლებებით.

2018 წ. საქართველომ აირჩია პირველი პრეზიდენტი ქალი. თუმცა, ზოგადად, ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი სახელმწიფო ადმინისტრაციაში, უკავიათ რა მინისტრების 12 პოსტიდან ოთხი ამჟამინდელ კაბინეტში და 31 ადგილი ამჟამინდელ 150-ადგილიან პარლამენტში. პარლამენტში წარმომადგენლობის გაუმჯობესება

[18] TI: 2020 CPI, 2021 წ. 28 იანვარი.
[19] EU: ასოცირების ხელშეკრულების შესრულების ანგარიში, 2021 წ. 5 თებერვალი, გვ. 8.
[20] GRECO: შესაბამისობის მეორე ანგარიში საქართველოსთვის, 2021 წ. 25 მარტი.
[21] EU: ასოცირების ხელშეკრულების შესრულების ანგარიში საქართველოსთვის, 2020 წ. 6 თებერვალი, გვ. 2; EP: დადგენილება საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, 2020 წ.16 სექტემბერი, პ.15.
[22] EU: ევროსაბჭოს პრეზიდენტის განცხადება საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, 2021 წ. 19 ივლისი; ევროკავშირის მისიების ხელმძღვანელების წერილი საქართველოს მთავრობას პრაიდთან დაკავშირებულ მოვლენებზე, 5 ივლისს, და შემდგომ [illegible] ბები, თბილისი, 2021 წ, 15 ივლისი.

PUBLIC

(21% ამჟამინდელ პარლამენტში, წინა პარლამენტში 14%-თან შედარებით) წარმოადგენს კანდიდატთა სიებისთვის დაწესებული სავალდებულო ქვოტის შედეგს, რომელიც მოითხოვდა, რომ სულ ცოტა ყოველი მეოთხე კანდიდატი საპირისპირო სქესის ყოფილიყო, რაც შეტანილ იქნა საარჩევნო კოდექსში 2020 წ. ივლისში, შესრულდა რა OSCE/ODIHR რეკომენდაცია.[23]

მოსახლეობის ბოლო აღწერის (2014 წ.) თანახმად, მოსახლეობის 13.2% ეროვნულ უმცირესობებს წარმოადგენს. მათი უფლებები, ზოგადად, დაცულია, თუმცა მათი წარმომადგენლობა სახელმწიფო ადმინისტრაციაში ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. ბოლო საპარლამენტო კენჭისყრაზე არჩეულ იქნა მხოლოდ ექვსი კანდიდატი ეროვნული უმცირესობებისგან (მაშინ როდესაც წინა პარლამენტში 11 კანდიდატი იყო). [24]

კონსტიტუცია ასევე კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, წარმომავლობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა მოსაზრებების საფუძველზე.

2017 წ. მაისში, იმის დემონსტრირებისთვის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა ასრულებდეს საკუთარ ვალდებულებებს, საქართველო გახდა 23-ე ქვეყანა, რომელმაც მოახდინა ქალის წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის (სტამბულის კონვენცია) რატიფიცირება. 2018 წ., მთავრობამ დაამტკიცა ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის, რომელშიც გაწერილია ქალების წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და მსხვერპლთა/ გადარჩენილთა დაცვის ღონისძიებები, ხოლო 2021 წ. თებერვალში მთავრობამ ადამიანის უფლებათა ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შეიტანა თავი თანასწორობის შესახებ.

იმავდროულად, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის, მისი მიზეზების და შედეგების საკითხებზე აღნიშნა, რომ გენდერული სტერეოტიპები და პატრიარქალური დამოკიდებულებები ღრმადაა გამჯდარი და ჭარბობს საზოგადოებაში, განსაკუთრებით სოფლებში.[25] 2021 წ. 5 ივლისს LGBTQ+ თბილისის პრაიდის მარშის მონაწილეებმა ვერ შეძლეს საკუთარი უფლებებით სარგებლობა, რადგან მათ უსაფრთხოებას აშკარა საფრთხის ემუქრებოდა, როდესაც სამოქალაქო აქტივისტები და ჟურნალისტები, რომლებიც ღონისძიებას აშუქებდნენ, კონტრ-დემონსტრანტების ძალადობრივი შეტევის სამიზნე გახდნენ. საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებმა დაგმეს ძალადობა და ხაზგასმით აღნიშნეს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის, მათ შორის, სქესზე და სქესობრივ ორიენტაციაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობა.[26] ამ მოვლენის შემდეგ საქართველოს მთავრობამაც დაგმო ძალადობა.

*თავისუფლება შეკიწროვების, დაშინებისა და წამებისგან*

კონსტიტუცია იცავს ადამიანის ღირსებას და კრძალავს წამებას, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას და სასჯელს.

მიღებულ იქნა წამების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სამოქმედო გეგმა 2019-2020 წლებისთვის. 2018 წ. ხელისუფლებამ ასევე მიიღო კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ და შექმნა სახელმწიფო ინსპექტორის ადმინისტრაცია. შესაბამისმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ეს შეაფასეს, როგორც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ასახავს ნებას, რომ მოგვარდეს დიდი ხნის პრობლემა - პოლიციის, პროკურატურის და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების არაეფექტური გამოძიება.[27] სახელმწიფო ინსპექტორის ახალმა ადმინისტრაციამ საგამოძიებო საქმიანობა დაიწყო 2019 წ. ნოემბერში და წამოიწყო რიგი სისხლის სამართლის გამოძიებები იმ დანაშაულებზე, რომლებიც, როგორც განაცხადეს, ჩაიდინეს სამართალდამცავებმა, რასაც მოჰყვა რამდენიმე ბრალდება.[28]

[23] OSCE/ODIHR LEOM: საპარლამენტო არჩევნები, დასკვნითი ანგარიში, გვ.4; EU: ასოცირების ხელშეკრულების შესრულების ანგარიში, 2021 წ. 5 თებერვალი, გვ. 4.
[24] OSCE/ODIHR LEOM: საპარლამენტო არჩევნები, დასკვნითი ანგარიში, გვ. 28.
[25] UN HRC: ნაკრები ინფორმაცია საქართველოს შესახებ, UN OHCHR-ის ანგარიში, 2020 წ. 12 ნოემბერი, გვ. 7.
[26] EU/საქართველო: ერთობლივი პრეს-რელიზი ადამიანის უფლებების ყოველწლიური დიალოგის შესახებ, ბრიუსელი, 2021 წ. 7 ივლისი.
[27] UN HRC: ნაკრები ინფორმაცია საქართველოს შესახებ, UN OHCHR-ის ანგარიში, 2020 წ. 12 ნოემბერი, გვ. 7.
[28] EU: ასოცირების ხელშეკრულების შესრულების ანგარიში, 2021 წ. 5 თებერვალი, გვ. 5.

# დანართი 1 – პოლიტიკური შეფასება 1-ლი მუხლის კონტექსტში



ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის კომიტეტის დელეგაცია (CPT) უკანასკნელად საქართველოში ვიზიტით იყო 2018 წ. სექტემბერში. ვიზიტის ანგარიშში, რომელიც 2019 წ. მაისში გამოქვეყნდა, CPT დელეგაციამ აღნიშნა CPT-ის წინა რეკომენდაციების შესრულების საქმეში საქართველოს ხელისუფლების პროგრესი და განაცხადა, რომ მას „თითქმის არავითარი ინფორმაცია არ მიუღია ცუდად მოპყრობის."[29]

[29] CPT: მოხსენება საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წ. 10-დან 21 სექტემბრამდე ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 2019 წ. 10 მასის.